პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

წლიწადი მეორე
ს. ქ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

23 თებერვალი
ხუთშაბათი

ფასი 5000 მანეთი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის
ქ. № 4. რედაქცია [illegible]
ყოველ დღე გარდა [illegible]
უქმეებისა დილ. [illegible]

ტელეფონები: სარედაქციო
კოლეგ. № 14—76 მდივნის
№ 19 საერთო №

№ 43 ხუთშაბათი, 23 თებერვალი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 23 თებერვალი 1922 წ. № 43

თბილისის ორგანიზაციების ყველა პარტიულ ამხანაგებს

თბილისის კომიტეტი პარტიული დისციპლინის წესით წინადადებას აძლევს გამოცხადდენ რაიონებში ყოველ კვირას დილის 8 საათზე სამხედრო ვარჯიშობისათვის.

ამხანაგები, რომლებიც არ გამოცხადდებიან ჩაითვლებიან როგორც პარტდისციპლინის დამრღვევნი—პარტიის დეზერტირები.

თბ. კ. მდივანი ლოლობერიძე

„სისხლიანი შაბათი“

ეს ის შაბათია—1918 წ. 10—23 თებერ., როცა ამიერ-კავკასიის შეკავშირებულმა ნაციონალისტებმა, მენშევიკებმა, დაშნაკებმა, მუსავატისტებმა და მათმა ძმებმა ტყვიისმფრქვეველით მოინდომეს ამიერ-კავკასიაში ბოლშევიზმის აღმოფხვრა; ეს ის შაბათია, როცა ყოფილ ალექსანდრეს ბაღში მსხვერპლათ შეწირულ საქართველოს მუშებისა და გლეხების ძვლებზე აგებულ იქმნა ხელთუქმნელი ტახტი პროლეტარული ძალა-უფლებისა! ეს მეტათ დიდ მნიშვნელოვანი თარიღია საქართველოს რევოლიუციური ბრძოლის ისტორიაში!

ამ დღეს საქართველოს მენშევიკების მეთაურობით ამიერ-კავკასიის ნაციონალისტებმა **იდეიური ბრძოლა** ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბოლოვოთ გადაიტანეს **იარაღით ბრძოლაზე.** მათ განიზრახეს ამით შიშის ზარი დაეცათ საქართველოს მუშებისა და გლეხებისათვის, მათ მოინდომეს ამ დღეს ამიერ კავკასიაში ბოლშევიზმის წარმომადგენლები და მესვეურნი მუშებისა და გლეხების სისხლში ჩაეხრჩოთ: მოინდომეს ადგილზე მოეკლათ ამხ. ამხ. კუზნეცოვი, შაუმიანი, ცინცაძე და სხვები, მაგრამ მალე მახვილი, რომელიც მათ ჩვენ წინააღმდეგ მომართეს მთელი თავისი საშინელებით მათივე წინააღმდეგ აღიმართა.

ბოლშევიზმის მოწინააღმდეგენი და მტრები მუდამ „მშვიდობიან და იდეურ“ ბრძოლას გაიძახოდენ, მაგრამ როცა დადგა კრიტიკული მომენტი, როცა დაინახეს, რომ მუშები და გლეხები მათ ზურგს აქცევენ და ბოლშევიზმის დროშას ეტანებიან, როცა იგრძნეს, რომ მათ ძალა-უფლება ეკარგებათ, მაშინ მათ პირველებმა მიმართეს შიშველ იარაღს და გადმოგვძახეს: დე ჩვენი დავა ხმალმა გადაჭრასო.

ამ დღემდე მოწუწუნე და თვალთმაქცნი, ვითომდა „მშვიდობის მყოფელნი“, უეცრათ მუშებისა და გლეხების სისხლის მსმელები გახდენ.

და აი ამ ისტორიული აქტით მათ მართლაც გადაჭრეს ისტორიული საკითხი: საქართველო და მასთან ერთად მთელი ამიერკავკასია იმპერიალისტების გავლენას, ბურჟუაზიის დიქტატურას დაექვემდებარება, თუ ის მებრძოლი მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურას გაატარებს? მსოფლიო მენშევიზმის კარნახით იმოქმედებს, თუ მსოფლიო ბოლშევიზმის დირექტივებს შეასრულებს?

„სისხლიანი შაბათის“ შემდეგ საქართველოს და ამიერ-კავკასიის მუშები და გლეხები უეცრათვე გამოფხიზლდენ: მათ თვალები აეხილათ და თავიანთ მტყუარა მთავრობებში—მენშევიკებში, დაშნაკებში და მუსავატელებში მათივე სისხლის მსმელები დაინახეს.

ამან გადაჭრა მათი ბედი: საქართველოს მუშებმა და გლეხებმა თანდათან იწყეს ბოლშევიკების მხარეზე გადასვლა და მიუხედავათ მრავალგზის მათი აჯანყება-ამბოხების მენშევიკების მიერ სისხლში ჩახრჩობისა, ისინი საბჭოთა რუსეთის და ბოლშევიზმის ერთგულნი რჩებოდენ.

ამნაირათ დადგა 1921 წლის არა მარტო თებერვლის „სისხლიანი შაბათი“, არამედ სისხლიანი მთელი თებერვალი.

1918 წ. 23 თებერვალს საქართველოს მენშევიკების მიერ გამოცხადებული ომი 1921 წლის თებერვლის ბრძოლებში გადაწყდა.

მენშევიზმმა ომი წააგო: საქართველოშიაც გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლიუციამ და მის მუშებსა და გლეხებს მებრძოლი კომუნიზმის წითელი დროშა ჩააბარა.

რ. კალაძე.

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაც. I-ლი ყრილობა

კავბიუროს პოლიტიკური მოღვაწეობის ანგარიში

(დასასრული ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენებისა)

მუღანი მთელი ამიერ-კავკასიის საკითხია

აზერბეიჯანელი ამხანაგები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ მუღანის საკითხი არა მარტო აზერბეიჯანის არამედ მთელი ამიერ-კავკასიის საკითხია იმდენად, რამდენადაც მუღანის ველი უზრუნველყოფს პურით ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელებს და ამიტომ ამხ. ნარიმანოვის სახით წინადადება მისცეს ამიერ-კავკასიის დანარჩენ რესპუბლიკებს, შექმნან სამივე რესპუბლიკებიდან მთლიანი კომისია, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას მუღანის მუშაობას. ეს კომისია დაარსდება და იმედი მაქვს, რომ ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოიხსნება სანამ მას ჩვენ არ განვახორციელებთ, არ გავატარებთ ცხოვრებაში და მაშინ ამიერ-კავკასიის პურის მიწოდების საკითხი თითქმის მთლიანად გადაიჭრება.

ნავთის მრეწველობა

გადავდივართ რა ნავთის მრეწველობაზე, უნდა გაცნობოთ, რომ ჩვენ მოგვეცა დავალება გაგვეწია ყოველგვარი დახმარება ნავთის მრეწველობისათვის, მიგვეწოდებია მუშებისათვის სურსათ-სანოვაგე და საერთოდ ყველაფერი საჭირო მასალა. თქვენ იცით, რომ ნავთის მრეწველობაში ნავთის ამოღება ეხლა გაძლიერდა. 11 ნახ. მილ. ნავთის ამოღება ავიდა 15 ნახ. მილიონ ფუთამდი. რასაკვირველია ამ წარმატების მიზეზი უპირველესად ყოვლისა ბაქოს პროლეტარიატია, რომელმაც დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის არ იღებს საყოფ პურს, სრულიად არ ეძლევა ხორცი, ძალიან ცუდათაა ჩაცმულ-დახურული, ამ მუშამ შესძლო ნავთის ამოღების გაძლიერება.

ბაქოს პროლეტარიატი გადალახავს დაბრკოლებებს.

ამას ჰქონდა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგანაც, იყო მომენტი, როდესაც იშლებოდა ჩვენი ნავთის მრეწველობა, ნავთის ამოღება კატასტროფიულად ეცემოდა და მხოლოდ მაშინ ვთქვით, რომ ჩვენი ძალღონით აქ ვერაფერს გავხდებოდით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ნავთის მრეწველობის გადარჩენა, რომ უნდა მოვიწვიოთ ვარიაგები, უნდა გავცეთ იჯარით, რომ ერთად ერთი ხსნა კონცესიაშია, მაგრამ, თავდადებულმა ბაქოს პროლეტარიატმა დაამტკიცა, რომ მას თითონ შეუძლია დასძლიოს ეს მძიმე ამოცანა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ენერგია ამხ. სერებროვსკისა, რომელმაც იცის ყველაფრის შოვნა საიდანაც არ უნდა იყოს ის, და რომელიც არაფერს არ ერიდება, ოღონდ კი ხელი შეუწყოს ნავთის მრეწველობას. ჩვენ რასაკვირველია ბევრი რამე ვერ გავაკეთეთ. ჩვენ შევსძელით მხოლოდ დავხმარებოდით ამხ. სერებროვსკის იმით, რომ გამოვითხოვეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოსაგან ოქრო და ვერცხლი, შემდეგ ჩვენ მას მივეცით საშუალება გამოსულიყო სტამბოლის ბაზარზე და შეეძინა იქ ტეხნიკური მასალები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელები მუშებისათვის.

რკინის გზები

რაც შეეხება რკინის გზებს, ამ საკითხის გამო მოგვიხდა ომის წარმოება 3 რესპუბლიკასთან და უნდა ითქვას, რომ ყველა ამ რესპუბლიკებს რო შეეგნოთ აუცილებლობა რკინის გზების გაერთიანებისა და სამუდამოდ უკუ ეგდოთ აზრი სალიანდაგო სამმართველოების დაწესებაზე, რკინის გზის ცალკე უფროსების ყოლაზე, ნავთის სათბობის, ქონის, ორთქლმავალების და ვაგონების დიდი რაოდენობის არსებობის დროს, ჩვენ თითქმის პირველი ადგილის დაჭერა შეგვეძლო რკინის გზათა მდგომარეობის მხრივ მთელს საბჭოთა ფედერაციაში. ეხლა თითქო ეტყობა ერთგვარი გარდატეხა, მაგრამ ბრძოლა დიდი დაგვჭირდა. სასურსათო მხრივ რკინის გზელთა მდგომარეობას არა უშავსრა, აგრეთვე გადადებულ იყო ოქროს განსაზღვრული რაოდენობა შესყიდვებისათვის და 20—15 ათასი ცალი ტანსაცმელი მათთვის.

რაც შეეხება გზის მომარაგებას შპალებით, აქ საქმე ძალიან ცუდათაა, რადგან თითეული რესპუბლიკა ცდილობს გაიღოს შპალები მხოლოდ „თავის“ ნაჭრისათვის.

პროლეტარიატი და გლეხობა.

გლეხობის და პროლეტარიატის ურთიერთობის საკითხის შესახებ უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი არ წარმოადგენს ზოგად ამიერ-კავკასიურ საკითხს, არამედ მეტ წილად აზერბეიჯანის საკითხს. მხოლოდ აზერბეიჯანში ამ ნიადაგზე ან ადგილი ჰქონდა უთანხმოებას ან, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი ამხანაგი ცდილობდა აღენიშნა, რომ არის უთანხმოებანი. მე აქ აღარ განვიმეორებ, რომ ჩვენი ხელისუფლების საფუძველს შეადგენს გლეხობის კავშირი პროლეტარიატთან. ამ კავშირის გარეშე ჩვენ ერთ დღესაც ვერ გავძლებთ. და როდესაც ამხანაგებო, ეს კავშირი ცოტათი შეირყა, ამაზე ცოცხლად მოგვაგონეს ზარბაზნების გრიალმა კრონშტადტში და ტამბოვის გუბერნიის აჯანყებამ. რო ავიღოთ ამიერ-კავკასიის სინამდვილე, აქ დაახლოვებით 6 მილიონ მოსახლეობაზე პროლეტარიატი მოდის 86,619. ბაქოში მუშები უდრის 46,999, წყალის ტრანსპორტის ჩაუთვლელად. ხოლო თუ ამ 46,999 ავიღებთ სამრეწველო მუშებს, ეს რიცხვი 30 პროცენტით მაინც უნდა შევამციროთ. თუ აიღებთ საქართველოს, 2 ნახ. მილიონ მოსახლეობაზე უწევს არა უმეტეს 31—32 ათას მუშისა. ესაა პროფსაბჭოს ცნობები და სრულად ეთანხმება იმას, რომ საქართველოში სამრეწველო მუშები არ არი 10,000-ზე მეტი. სომხეთში მუშებია 3,765. ეს ციფრები მოგვაწოდა პროფსაბჭომ და რ. პ. ც. ს. კავბიურომ. პროფკავშირების წევრთა რიცხვი სამივე რესპუბლიკაში უდრის 232,841. ეს ცოტაა. რომ ჩვენი ქვეყანა გლეხურია, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი, ის სავსებით გლეხურია. და აქ ვერაფერს იზამ. ამიტომ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის ურთიერთობის სწორი გადაჭრა აქ განსაკუთრებით საჭირო ხდება.

ბაქოს პროლეტარიატი მოწყვეტილია მიწას.

ამ საკითხმა გამოიწვია საკმაოდ მტკივნეული შეხლა-შემოხლა აზერბეიჯანში. ამას აქვს თავისი ობიექტიური ახსნა. ბაქოს პროლეტარიატი სავსებით მოწყვეტილია ადგილ მამულს. ბაქოს პროლეტარიატი თავისი კლასობრივი შემეცნების სიწმინდით სრულიად განსხვავდება რუსეთის პროლეტარიატისგანაც კი. თუ რუსეთის პროლეტარიატი ჯერ კიდევ დაკავშირებულია მიწასთან და გლეხური სული მასში კიდევ არ გამქრალა ბაქოს პროლეტარიატის პსიქოლოგია ამ მხრივ სავსებით თავისუფალია. თუ საერთოდ რუსეთის პროლეტარიატს არც ისე ესიამოვნება, როცა მას უხდება ცოტა უკან დახევა, როცა, ამხ. ლენინის სიტყვები რო ვიხმაროთ, უნდა მოვახდინოთ გარდაბმა და აღვადგინოთ კავშირი, რომელიც შეიკრა ოქტომბრის დღეებში, ზედმეტია ლაპარაკი, რომ ბაქოს პროლეტარიატმა უფრო ნაკლებად უნდა ამას უცადოს, ეხლა ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით ეს შეხლა-შემოხლა თითქო დაძლეული იქნება, თუ კიდევ არ არი დაძლეული. მე ვთქვი, რომ ქართველ და სომეხ ამხანაგებისათვის ეს საკითხი არ არსებობდა. არ არსებობდა არა იმიტომ, რომ ისინი აწარმოებდნენ უფრო ბრძნულ პოლიტიკას, ვინემ აზერბეიჯანელი ამხანაგები არამედ იმიტომ, რომ აქ ადგილი არ ჰქონია არც მოწყვეტას, არც განხეთქილებას, არც უკან დახევას, არც ურთიერთ დაშორებას; არ იყო ის პროლეტარიატი, როგორიც არის აზერბეიჯანში. ჩვენ ხშირად ვეუბნებით ბაქოელ ამხანაგებს, რომ ბაქოს პროლეტარიატს, რომელიც არის ამიერ-კავკასიის რევოლიუციის აუცილებელი წინამძღოლი, რევოლიუციონურ მოძრაობის ერთი უმსხვილესი კერათაგანი და საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდნობი მთელ ფედერაციაში, ბაქოს პროლეტარიატს მრავალ პირობათა გამო მოუხდება ამ საკითხს უღრესად ფრთხილად მიუდგეს და რაც არ უნდა დაჯდეს, მოახდინოს ეს გარდაბმა აზერბეიჯანის გლეხობასთან, ურომლისოდ შეუძლებელია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება აზერბეიჯანში.

რესპუბლიკების თავდაცვა.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვას; აქ ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მიუხედავად წითელ არმიელთა ცხოვრების მძიმე პირობებისა, მიუხედავად ხშირად დიდი დაბრკოლებებისა, მიუხედავად საძაგელ საბინაო პირობებისა, მიუხედავად იმისა, რომ წითელი არმია იმყოფება მაინც სხვა ეროვნებათა შორის და თუმცა მებრძოლნი სულით, ბრძოლით ღვიძლი ძმებია ამიერ კავკასიის მშრომელ მასსების, მაგრამ მაინც ეროვნებით ისინი არიან არა ქართველნი, თურქები, სომხები, არამედ რუსები; თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ წარმოებს მუშაობა მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების მხრით, ცხადი შეიქნება, რომ საკმაოდ მძიმეა პირობები, რომლებშიაც უხდება ყოფნა წითელ არმიას. მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა და იმის მიუხედავადაც, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები მოიცვა, საკმაოდ ძლიერად, სადემობილიზაციო განწყობილებამ, როცა ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ომის ამოცანები უკანა რიგში დადგა, მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენი წითელი არმია მატარებელია ბრძოლის უნარის. და თუ ვინმე გაბედავს აქ ცხვირის შემოყოფას, მას ჩვენ ცხვირ-პირს დავამტვრევთ (ტაში). სარდლობის მთლიანობა, ჯარის მოწყობის მთლიანობა სავსებით მიღწეულია.

ზრუნვა წითელ არმიაზე.

რაც შეეხება წითელ არმიაზე ზრუნვას, უნდა ვსთქვათ, რომ ერთ რესპუბლიკაში მეტ მზრუნველობას იჩენენ, მეორეში ნაკლებს. ამ საქმეში ყველას აჯობეს აზერბეიჯანელებმა. იქ შექმნეს კომისია წითელ არმიის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და ამ საქმისთვის გადასდეს 25 მილიარდი. ცოტა რამ სომხეთსა და საქართველოშიაც გაკეთდა. წითელი არმია არც ერთ რესპუბლიკას არ მიაჩნია გერათ. მაგრამ ალბათ მათ მატერიალური საშუალება ნაკლები აქვთ და ამის გამო იმდენი ვერ გააკეთეს. მახსოვს, როდესაც ზაფხულში ჩვენ შევიწროებული ვიყავით სურსათის მხრივ და ქართველმა და სომეხმა ამხანაგებმა მთელი თავიანთი ულუფა, რომელიც მათ უნდა მიეღოთ საზღვარ-გარეთ ნაყიდ პურიდან, ჯარს დაუთმეს, ჩვენ შევიძელით და წითელ არმიელებს ნახევარ-ნახევარი გირვანქა პური ვაძლიეთ. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თუ ჩვენი ამხანაგები ცოტათი მაინც დაივიწყებენ ფიქრს დემობილიზაციაზე და გაიხსენებენ, რომ სამხედრო ამოცანები არა თუ არ დამთავრებულა, არამედ გვემუქრებიან ჩვენ, მეტადრე აქ, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, მაშინ ჩვენ მეტათ ბევრის გაკეთებას შევიძლებდით. რაც უნდა დაჯდეს, უთუოდ უნდა შევქმნათ ის მოწყობილობა და სინათლე ყაზარმაში, ურომლისოთაც ჩვენ წითელ არმიელებს არ შეუძლიათ ცხოვრება. საჭიროა, ჩვენ წითელ არმიელებს ალერსიანათ მოექცნენ ჩვენ ქვეყნებში, რომ ჩვენი წითელი არმიელები გრძნობდნენ, რომ ისინი იმყოფებიან თავიანთ ღვიძლ მამებთან, დედებთან, ძმებთან და დებთან, საჭიროა ჩვენ იმის სამაგიერო მივცეთ, რაც ისინი იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ, როცა აქ საბჭოთა რესპუბლიკების დასაცველათ წამოვიდნენ. იმედი მაქვს, რომ ყრილობა ერთხმათ გაუსვამს ხაზს, რომ

საბჭოთა ხელისუფლება და ფინანსები

ფინანსთა სახალხო კომისარიატი

1. ფინანსთა სახალხო კომისარიატი

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატი განაგებს: 1. რესპუბლიკის ყველა შემოსავალს და გასავალს, 2. სახელმწიფო კრედიტის და ფულის ტრიალს, 3. რესპუბლიკის ყველა საგადასახადო, საკასო (ხაზინები) და საბაჟო დაწესებულებებს, 4. რესპუბლიკის საზღვრებში არსებულ სახალხო ბანკს, განყოფილებებით და კერძო საკრედიტო და სხვა საფინანსო დაწესებულებათა მოქმედების მიმართულებას, 5. სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციას და 6. სავალიუტო ბირჟას.

ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებობს: 1. საუწყებათაშორისო საბიუჯეტო თათბირი და 2. განსაკუთრებული სათათბირო გადასახადთა საქმის შესახებ.

ფინანსთა კომისარიატი შესდგება 8 განყოფილებისაგან

1. ბიუჯეტის სახარჯთაღრიცხვო, 2. ეკონომიური, 3. ფულის ნიშნების და კრედიტის, 4. საანგარიშო, 5. ცენტრალური კანცელარია, 6. პირდაპირ გადასახადთა, 7. არა პირდაპირ გადასახადთა და 8. საბაჟო განყოფილებისაგან.

კომისარიატის ადგილობრივ განყოფილებას შეადგენენ: 1. ხაზინები, 2. სოფლის საგადასახადო კომისიები 3. რაიონის საგადასახადო განყოფილებანი 4. მაზრის განსაკუთრებული საგადასახადო საკრებულონი და 5. სააქციზო ინსპექციები.

2. წინეთ და ახლა.

თუ საბჭოთა რუსეთის განვლილი 3—4 წლის სამოქალაქო ბრძოლის ხანაში ფინანსთა სახალხო კომისარიატის როლი და მნიშვნელობა საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში მინიმუმამდე იყო დაყვანილი, თუ მისი მოღვაწეობა გამოიხატებოდა მხოლოდ ფულის ნიშნების ბეჭვდასა და მის განაწილებაში, თუ მისგან მეტს არას მოითხოვდენ და არც თუ ვინმე რამეს ეკითხებოდა, სამაგიეროთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს ფინანსთა სახალხო კომისარიატი გახდა ცენტრალურ, დამკვრელ კომისარიატათ, რომელსაც სავსებით დაკისრებული აქვს ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარება ცხოვრებაში, რაზედაც თავის თავათ დამოკიდებულია მუშურ-გლეხური მთავრობის აწმყო და მომავალი საბჭოთა მთავრობის ყოფნა არ ყოფნის საკითხი. ამიტომ არც გასაკვირველია თუ ყველა ყრილობებზე, როგორც საბჭოთა, ისე პარტიულზე, დღის წესრიგში დგას და უმთავრეს როლს თამაშობს საკითხი ახალი ფინანსიური პოლიტიკისა. სწორეთ ამით აიხსნება, რომ ყველაზე მეტად ფინანსიური საკითხებითაა დღეს დაინტერესებული ფართო წრეები, როგორც პარტიული ისე უპარტიო მასებისა.

თავი და თავი განსხვავება საბჭოთა რუსეთის წინანდელი და ეხლანდელი ფინანსიური პოლიტიკისა იმაში მდგომარეობს, რომ თუ წინეთ შეგნებულათ ხელს უწყობდენ ფულის კურსის (ღირებულების) დაცემას, რათა შემდეგ სავსებით გაეუქმებიათ ფულის ნიშნები, სამაგიეროთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს ყოველივე ზომებია მიღებული ფულის ღირებულების ასაწევათ მის კურსის განსამტკიცებლათ.

ფულის კურსის დაცემის თავი და თავი მიზეზები იმალება ბაზარზე საქონლის ნაკლებობაში და ემისიის გაძლიერებაში, ანუ ზედმეტი ფულის ნიშნების გამოშვებაში.

პირველი მიზეზის თავიდგან ასაშორებლად საჭიროა მრეწველობა-წარმოების აღდგენა, ზედმეტი საქონლის დამზადება და ბაზარზე გატანა და ამისათვის თავდადებული შრომა, შრომა და კიდევ შრომა.

მეორე მიზეზის მოსასპობად აუცილებელია გადასახადებზე დაყრდნობა და ემისიის მინიმუმამდე შემცირება. მუშურ - გლეხური მთავრობის მიზანს კი შეადგენს გადასახადების უმთავრესი სიმძიმე გადაიტანოს ქალაქის და სოფლის შეძლებულ კლასზე და არა მუშებზე და მშრომელ ღარიბ გლეხობაზე.

გავეცნოთ მოკლეთ თუ რა გადასახადებია შემოღებული საბჭოთა საქართველოში, როგორია მათი ისტორია და ვის დააწვება კისერზე ეს გადასახადები მთელი თავის სიმძიმით.

3. პირდაპირი გადასახადები.

სახარკო დაბეგვრა ანუ საზოგადოთ გადასახადები სახელმწიფოებრივ მაშტაბში შემოღებულ იქმნა მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში, იმ დროს როცა ნატურალური მეურნეობა შესცვალა ფულის მეურნეობამ, უკეთ რომ ვთქვათ, საქონლის საქონელზე გადაცვლის მაგიერ შემოღებულ იქნა საქონლის ფულზე ყიდვა-გაყიდვა.

პირდაპირ გადასახადთა ისტორია აშკარათ ყოფს თუ რა კულტურულ სიმაღლეზე დგას სახელმწიფო და როგორია მისი წესწყობილება.

მაგალითად, წინეთ, ბატონ-ყმობის დროს, თვითმპყრობელობის ხანაში, შემოღებული იყო სულზე გადასახადი. მთელი ხალხი იყოფოდა ორ განცალკევებულ კლასათ: გადამხდელთა კლასი (გლეხობა) და კლასი უპირატესობით მოსილი (თავად-აზნაურთა), თავისუფალი ყოველგვარი გადასახადისაგან. სულზე გადასახადი შემდეგ შეიცვალა სახაზინო საიჯარო გადასახადით და მიწის ხარჯით (ბაჟით) მემამულეთა და გლეხთა მიწებზე და სარეწავი გადასახადით სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებზე.

მეფის მთავრობის პარპაშის დროს პირდაპირი გადასახადი მთელი თავის სიმძიმით თავს აწვა სოფლის გლეხობას და ქალაქის ღარიბ ლატაკს ეგრეთ წოდებულ გადამხდელ წოდებას. ამავე დროს ქვეყნის არისტოკრატიულ-ფეოდალური ნაწილი და ბურჟუაზიული კლასი სარგებლობდა ყოველგვარი შეღავათით, რათა თავი დაეძვრინა გადასახადებისაგან იმ სახელმწიფოს სასარგებლოთ, რომელიც მხოლოდ მათ მფარველობდა და არა მუშებსა და გლეხებს.

მენშევიკურმა საქართველომ გამოაცხადა რა თავი დამოუკიდებლათ საბჭოთა რუსეთისაგან, მიიღო სამემკვიდროთ პირდაპირ გადასახადთა საფუძველი და წესი განაწილებისა მეფური რუსეთისაგან. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში საქართველოს მუშები და გლეხები განაგრძობდენ ძველებურად ჭაპანის წევას. ბურჟუაზიული ელემენტები კი ძველებურადვე „თავს იძვრენდენ“ ყოველგვარ გადასახადისგან და გასკეცებული სპეკულიაციით ჯიბეს ისქელებდენ.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლება კი ამას აღარ დაუშვებს. თავის თავად ცხადია რომ მისი ღონისძიებანი იქითკენაა მიმართული, რათა მთელი სიმძიმე პირდაპირი გადასახადებისა გადატანილი იქნეს შეძლებულებზე—ბურჟუაზიაზე--ვაჭარ-მრეწველებზე ქალაქში და მევახშე მსუქან გლეხობაზე სოფლად. სავსებით განთავისუფლდეს პირდაპირი გადასახადისგან მუშები და სოფლის შეუძლო გლეხობა.

გადავდივარ საბჭოთა ხელის უფლების გამოცხადების შემდეგ № 61 დეკრეტით შემოღებული პირდაპირ გადასახადებზე. აქ უნდა აღინიშნოს ერთი თვალსაჩინო ფაქტი, სახელდობრ ის, რომ გაუქმებულია ყოველგვარი გადასახადი მიწაზე. პირდაპირ გადასახადებში უმთავრესი ადგილი უჭირავს სარეწავ გადასახადს, რომლითაც იბეგრებიან სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებები და აგრეთვე პიროვნებები, რომლებიც ეწევიან ვაჭრობას გარეშე სავაჭრო დაწესებულებებისა. ამასთანავე სარეწავი გადასახადით იბეგრებიან მოიჯარადრენიც. შემდეგ სარეწავი გადასახადისა, უნდა დავასახელოთ საშემოსავლო პროგრესიული გადასახადი, რომლითაც იბეგრებიან ანგარიშ ქვეშ მყოფი საწარმოვო დაწესებულებები და ის პირები, რომლის შემოსავალი აღემატება საცხოვრებელ მინიმუმს, რაც მიმდინარე წელში ნავარაუდევია ცხრა მილიონი მანეთი.

ამ გვარათ ყველა მუშები და ღარიბი გლეხობა თავისუფლდება პირდაპირი გადასახადებისაგან.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე სიმტკიცის ბაჟები და სალერბო გადასახადი, რომლებიც გადახდება მხოლოდ სხვა და სხვა ოქმების შედგენის დროს და რომლებიც სავსებით აწვება ვაჭარ მრეწველთა კლასს და ქალაქის ბურჟუაზიას. მთელი 1921 წლის პირდაპირი გადასახადების ჯამი რომელიც იკრიბება მიმდინარე წელში ჩვენი ვარაუდით შეადგენს 140 მილიარდ მანეთს.

ბარონი.

(დასასრული იქნება)

საბჭოთა ყველა რესპუბლიკები თავდაპირველათ უნდა ზრუნავდნენ წითელ არმიაზე, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ ეხლაც არაფერი არა კეთდებოდეს. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა, მარტო წითელ არმიის სასურსათო სამმართველოს მისცეს 30 მილიარდი მანეთი; ამას გარდა, მე არ ვიცი, რამდენი იყო გადადებული ყაზარმების რემონტისთვის და სხვა მაგალითად, ცნობები გვაქვს, რომ მარტო საქართველომ მისცა 8,736,000 მან. ყაზარმების რემონტისთვის. მაგრამ ეს ციფრი სულ უმნიშვნელოა; სომხეთშიაც ამდენივეა მიცემული. რაც შეეხება აზერბეიჯანს, მან 40 მილიარდი მისცა.

ეროვნული ჯარები და სამხედრო კურსები.

რაც შეეხება ეროვნულ ჯარების შედგენას, ეს საქმე დიდი წარჩინებით მიდის სომხეთში, ნაკლებათ აზერბეიჯანსა და საქართველოში. სომხის ჯარმა მიიღო მონაწილეობა სამოქალაქო ომში, ის ამარცხებდა დაშნაკებს და ამ მხრივ ის მომზადებულია.

რაც შეეხება ზოგიერთ ცალკე ნაწილებს, აქ ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჩვენ გვაქვს რამდენიმე კურსი: კურსანტების აღმოსავლეთი ბრიგადა მოსკოვის კურსები, აზერბეიჯანის უფროსობის კურსები, რომელნიც ამხ. პეტროვსკის სიტყვით, სამაგალითოა არა თუ მარტო ამიერ-კავკასიის, არამედ მთელი ფედერაციისთვის. კურსები საქართველოსა და სომხეთში ჯერ ეს არის არსდებიან. ვიტყვი, რომ ამ მხრივ ჩვენ დიდი წარჩინება გვაქვს. თუ აზერბეიჯანსა და საქართველოს სურთ ნამდვილი ეროვნული ჯარი იყოლიონ, მათ ამ საქმეს ორკეცი ყურადღება უნდა მიაქციონ და იქ რაც შეიძლება მეტი კომუნისტი გაგზავნონ, ვინაიდან როგორც საქართველოს, ისე აზერბეიჯანს მრავალი ინტელიგენტური პარტიული ძალები ჰყავთ, რომლებიც სომხეთში არაა და რომლებიც მას სჭირია. თუ ჩვენ ძლიერი ჯარი გვინდა, იქ საუკეთესო ძალები უნდა გავგზავნოთ.

პარტიის მდგომარეობა

გადავდივარ რა მოხსენების უკანასკნელ მუხლზე—ჩვენი პარტიის მდგომარეობაზე, უნდა გითხრათ, რომ ამჟამათ ჩვენ ჩამოყალიბებული პარტიული ორგანიზაციები გვყავს ამიერ-კავკასიის სამსავე რესპუბლიკაში დაწყებული დაბალ და გათავებული უმაღლეს ორგანიზაციებით. თქვენ იცით, რომ უკანასკნელ დრომდე სომხეთსა და საქართველოში ჩვენ დანიშნული ც. კ. გვყავდა. ეხლა ეს ც. კ. ამორჩეულები არიან იმ პარტიულ ყრილობების მიერ, რომლებიც ესაა გათავდა საქართველოსა და სომხეთში.

უთანხმოებას ბოლო მოეღო.

რაც შეეხება მდგომარეობას პარტიების შიგნით, უნდა ვთქვათ, რომ საკმაოდ სერიოზული უთანხმოება სუფევდა. სომხეთში ამ მხრივ საქმე უკეთესათაა, თუ ზოგიერთ ცალკე უთანხმოებას არ ჩავთვლით. აზერბეიჯანში კი საკმაოდ სერიოზული უთანხმოება იყო. ბაქოს მე-9 კონფერენცია და აზერბეიჯანის მე-4 ყრილობა ითვლება გარდამავალ მომენტად პარტიულ აღმშენებლობაში. ვფიქრობ, რომ მე-4 ყრილობის შემდეგ ბოლო მოეღება ყველა უთანხმოებას.

რაც შეეხება საქართველოს პარტიას აქაც იყო უთანხმოება ეს უთანხმოება გამოიხატებოდა იმაში, თუ როგორ უნდა გავიგოთ დამოუკიდებლობა, როგორ უნდა გავატაროთ ესა თუ ის დადგენილებები. მაგრამ არც ერთი ამხანაგი არ გამოსულა პრინციპიალურად ფედერაციის წინააღმდეგ, თუმცა ამავე დროს აღნიშნავდენ, რომ ფედერაცია ნაადრევია და სხვ.

აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიის მე 4 ყრილობა თუ ჩატარდა სამაგალითოდ, ორგანიზაციული მხრივ, ეს იმის გამო, რომ მათ ჩაატარეს წარსული სამი ყრილობა სადაც საკმაოდ დავობდენ. რაც შეეხება საქართველოს, აქ, საქართველოს კომუნისტური პარტიის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში ისინი პირველად შეიყარენ ყრილობაზე და ბევრ საკითხებში საჭირო იყო შეთანხმება. უნდა აღინიშნოს ერთი სასიხარულო მოვლენა და სახელდობრ: ყრილობიდან პარტია გამოვიდა უფრო დარაზმული ვიდრე ის იყო ყრილობამდი.

პარტიის შემადგენლობა.

პარტიამ გააფრთხილა თავის რიგები, რომ, ისინი ყოველი მიმართულებით დადგენ ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე.

სომხეთში პარტიული ყრილობა მშვიდათ ჩატარდა; უთანხმოება არ ყოფილა.

გადავდივართ რა ჩვენი პარტიის შემადგენლობაზე, ჩვენ ვიღებთ შემდეგ სურათს. საქართველოს კომპარტიაში ირიცხება 15,000 წევრი და კანდიდატი. აზერბეიჯანში პარტიის ნამდვილ წევრათ ითვლება 6,861 და კანდიდატათ 5,000 კაცი. სომხეთში პარტიის ნამდვილი წევრი—2,519 კანდიდატი 5,000.

თუ გადავხედავთ ამ პარტიების სოციალურ შემადგენლობას, მივიღებთ შემდეგ სურათს: აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიაში მუშა—41 პროც. გლეხი—44 პროც დანარჩენი—15 პროც. ბაქოს ორგანიზაციებში მუშები—62 ნახ. პროც.

საქართველოს კომუნისტურ პარტიაში გლეხები—11,388, მუშები—2,906.

სომხეთის კომპარტიაში მუშები—21 პროც., გლეხები—57 პროც.

წინ მდებარე ამოცანები

ამხანაგებო, რასაკვირველია, კავბიუროს მუშაობაში იყო ნაკლულოვანებები და ზოგიერთი ამოცანები მან ვერ გადასჭრა, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის უმაღლესი პარტიული ორგანო, რომელსაც აირჩევთ თქვენ ამ ყრილობაზე უფრო ადვილათ დასძლევს იმ ამოცანებს, რომლებიც წამოიჭრებიან მათ წინაშე და გაატარებენ მათ ცხოვრებაში.

მათ წინ დადგება საკითხი წითელი არმიის ბრძოლის უნარის გაძლიერებისა ნაციონალურ ჯარების წარმატებით შედგენისა და ამ არმიის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. აგრეთვე წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, რომ საბოლოოდ მოისპოს ის შეხლა შემოხლა და უთანხმოებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს პარტიაში.

ჩვენ ეხლა ვცხოვრობთ ისეთ მომენტში, რომელიც საბჭოთა ფედერაციის ცხოვრებაში უფრო მეტად საშიშია, ვიდრე ის მომენტი როდესაც ვიბრძოდით იუდენიჩთან, კოლჩაკთან, დენიკინთან, ვრანგელთან და სხვ.

ეხლა ჩვენ წინ სდგას საკითხი ფედერაციის განხორციელების შესახებ, რადგანაც ძალების გაერთიანების გარეშე შეუძლებელია მტკიცე და ძლიერი საბჭოთა ხელისუფლება.

ვათავებ რა ჩემს მოხსენებას მე სავსებით მზად ვარ მივიღო ყოველგვარი შემოტევა, რომელიც მიმართული იქნება კავბიუროს წინააღმდეგ კრიტიკა უნდა იქნეს, რადგანაც ეს საშვალებას მისცემს მომავალ საოლქო კომიტეტს გაითვალისწინოს ყველა დეფექტი და გამოიყენს მთელი გამოცდილება. და ამიერ-კავკასიის მე-2 ყრილობაზე ჩვენ უკვე აღარ გვექნება ის ნაკლულოვანებები, რომლებიც აქ გამოიწვევს თქვენ კრიტიკას (ტაში).

ფედერაციის კომისიის მოხსენება

(მოხსენება ამხ. ელიავასი)

ამხანაგებო, ამიერ-კავკასიის გაერთიანების გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო პრინციპები, რომლებიც ფორმალურათ ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების პროექტის შესავალში წარმოადგენენ შემდეგს:

„გამოვდივართ რა დიდ პროლეტარულ რევოლიუციის მიერ აღიარებულ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებიდან, აღვიარებთ რა ყოველი პირობის დამდებ მხარის დამოუკიდებლობას და სუვერენობას და ვცნობთ რა აუცილებლობას—შევაერთოთ ჩვენი ძალები დაცვის მიზნით და სამეურნეო აღმშენებლობის ინტერესების სასარგებლოთ, ვადგენთ: ამიერიდან აზერბეიჯნისა, სომხეთისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკები ჰკრავენ ერთმანეთთან მჭიდრო სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირს“.

სახეში გვქონდა შეგვექმნა ძლიერი რევოლიუციონური ცენტრი, რომელიც მოგვცემდა სამხედრო დაცემის წინააღმდეგობის შესაძლებლობის მაქსიმუმს, და გამოგვეზოგა ძალები სამეურნეო აღმშენებლობისთვის. ამ მიზნით გადაწყვეტილი იყო ხალხის ცხოვრების ზოგიერთი ისეთი დარგის გაერთიანება, რომლებსაც ვერ მოაწყობს ყოველი რესპუბლიკა ცალკე. კავბიუროსა და თბილისში გამართულ პარტიულ საოლქო თათბირის მიერ გადაწყვეტილი იყო ცალ-ცალკე რესპუბლიკებში გაუქმებულიყო კომისარიატები სამხედრო, საფინანსო და საგარეო საქმეებისა, ფოსტა და ტელეგრაფისა, შეექმნათ კომისარიატი გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობისა, გაეერთიანებიათ გზები და გზების მმართველობა, შეექმნათ ორგანო საგანგებო კომისიისა კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველათ ამიერ კავკასიის მაშტაბით და შეექმნათ რ. კ. პ. პატარა აპარატი მთელი ამიერ-კავკასიისთვის. ამავე დროს ყველა ეკონომიურ ორგანოების მოქმედების გასაერთიანებლათ პირობის დამდებ რესპუბლიკების ტერიტორიაზე გადაწყვეტილი იყო შეგვექმნა უმაღლესი ეკონომიური საბჭო, რომელიც იმოქმედებდა კავშირის მუდმივ სამეურნეო საბჭოს უფლებით. ეს გადაწყვეტილებანი დაამტკიცა პარტიულმა საოლქო თათბირმა, რომელიც იქ იყო გამართული.

ამიერ კავკასიის მეორე პარტიულმა თათბირმა, დაამტკიცა რა ეს პროექტი, წინადადება შეიტანა კომისია დაარსებულიყო ამ გაერთიანების გეგმის გამოსამუშავებლათ მეტადრე ეკონომიურ პოლიტიკის, ფოსტა-ტელეგრაფის დ ფინანსების საკითხებისთვის. ამ კომისიამ გამოიმუშავა პროექტი დებულებისა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთვის. ეს პროექტი ჩვენ ხელთა გვაქვს. საფინანსო საკითხების პროექტს ჩვენ ეხლა არ წარუდგენთ ყრილობას. საქმე იმაშია, რომ საფინანსო პოლიტიკის კოორდინალურ საკითხებს განიხილავს მე 11 პარტიული ყრილობა და ამიტომ გადავწყვიტეთ მოუცადოთ პარტიის ამ ყრილობის გადაწყვეტილებას, რომ მის დადგენილებების თანახმათ მოვაწყოთ აქ საფინანსო პოლიტიკა. ცალკე გაერთიანებულ კომისარიატების ორგანიზაციის საკითხების შესახებ. გადასწყდა ამ საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა მიენდოს თითონ კავშირის საბჭოს, რომელიც შექმნილ იქნება სრულიათ საქართველოს საბჭოთა ყრილობის დასრულების შემდეგ. რაც შეეხება უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, აქ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების ეხლანდელმა ყრილობამ მიიღოს და დაამტკიცოს ის საფუძვლები, რომლების პროექტიც გამომუშავებულია.

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს პროექტის გამომუშავების დროს ჩვენ უმთავრესათ ვემყარებოდით შემდეგ მოსაზრებებზე.

ჩვენ აქ არა გვქონდა ეკონომიური გაერთიანება, აქ არ იყო გაერთიანება, რომელიც შეაერთებდა რკინის გზებსაც და საგარეო ვაჭრობასაც, არ იყო ისეთი ორგანო, რომელიც განსაზღვრულ გეგმას შეადგენდა და რომლის გადაწყვეტილებას შეასრულებდნენ ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკები. თქვენ უკვე მოისმინეთ მოხსენება საგარეო ვაჭრობის მოქმედების შესახებ, შემდეგ თქვენ მოისმენთ მოხსენება რკინის გზების მოქმედების შესახებ და ეს მოხსენებები გიჩვენებენ თქვენ, რომ ასეთი გაერთიანება არ არსებობდა, რის გამოც მუშაობა საშინლად ბრკოლდებოდა. და ამიტომ არ შეიძლებოდა ყველა იმ ამოცანების დაძლევა, რომლებიც იდგნენ ამიერ კავკასიის ყველა რესპუბლიკების წინ. ყოველ რესპუბლიკას შესაძლებლათ მიაჩნდა ყველა თავის საჭიროება თავისი საკუთარი საშუალებით დაეკმაყოფილებინა მხოლოდ იმიტომ, რომ მათში არსებობდა ორგანოები, რომლებიც ამნაირად ფიქრობდენ თავიანთ საჭიროების დაკმაყოფილებას. გამოვდივართ რა ასეთ მდგომარეობიდან, ჩვენ უნდა დავმდგარიყავით [illegible] დატან-გადმოტანის თვალსაზრისზე, ეს ერთი მხრით, და ფონდების განაწილების თვალსაზრისზე, მეორე მხრით. ჩვენ უნდა შეგვექმნა ორგანო, რომლისთვისაც, შესაძლებელი ყოფილიყო, გადაგვეცა ყველა ეს საკითხები. და აი როცა, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ვქმნით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი იქნება ის ორგანო, რომელიც მოახერხებს ყოველ რესპუბლიკაში თავი მოუყაროს ყველა იმ ეკონომიურ საშუალებებს, რომლებიც იქ აქვთ.

შემდეგ ამხ. ელიავა აქვეყნებს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების აზერბეიჯნის, სომხეთის და საქართველოს კავშირის ხელშეკრულობის პროექტს“ და „უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დებულების პროექტს“, რომლებსაც ერთხმათ ამტკიცებს ყრილობა.

აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს საბჭ. რესპუბლიკების საკავშირო ხელშეკრულება

აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლების სრულ უფლებიანმა კონფერენციამ, გამოვიდა რა დიდი პროლეტარული რევოლიუციის მიერ აღიარებულ ხალხთა თვით გამორკვევის უფლებებიდან, იცნო რა ხელშეკრულობის თითოეულ მონაწილის დამოუკიდებლობა და სუვერენობა და სცნობს რა თავის ძალების შეკავშირების საჭიროებას თავდაცვის მიზნებისა და სამეურნეო აღმშენებლობის ინტერესებისათვის,—დაადგინა, რომ ამიერიდან აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკები ამყარებენ ურთიერთ შორის მჭიდრო სამხედრო პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირს შემდეგ საფუძვლებზე:

1. რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს ხელისუფლებათ ითვლება აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მთავრობების მიერ თანასწორი რიცხვით არჩეული წარმომადგენლების სრულუფლებიანი კონფერენცია.

2. სრულუფლებიან კონფერენციის აღმასრულებელ ორგანოდ ითვლება საკავშირო საბჭო, რომლის წევრებს ირჩევს და უკან იწვევს კონფერენცია

3) საკავშირო საბჭოს გამგეობაში გადადის: სამხედრო საქმეები, ფინანსები, საგარეო პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობა, გზები, ფოსტა-ტელეგრაფი კონტრევოლიუციასთან ბრძოლა და ეკონომიური პოლიტიკის ხელმძღვანელობა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

4 საკავშირო საბჭო შესდგება თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და წევრებისაგან:

ა) სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი.

ბ) ფინანსთა სახალხო კომისარი.

გ) საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი.

დ) ფოსტა ტელეგრაფის სახალხო კომისარი.

ე) საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი.

ვ) გზათა მიმოსვლის სამმართველოს უფროსი.

ზ) კონტრ-რევოლიუციასთან მებრძოლი საგანგებო კომისიის თავმჯდომარე.

შენიშვნა: 1) მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო სახალხო კომისარიატები უქმდებიან, გარდა კონტრრევოლიუციასთან მებრძოლი საგანგებო კომისიებისა, რომლებიც რჩებიან რესპუბლიკებში მათი საკავშირო საგანგებო კომისიისათვის დაქვემდებარებით.

შენიშვნა 2) სამხედრო საქმეთა ფინანსების და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატებს ჰყავთ მოკავშირე რესპუბლიკებში თავისი რწმუნებულები, რომლებიც წევრების უფლებებით შედიან რესპუბლიკების მთავრობებში.

5. საკავშირო საბჭო ყველა საკითხებში, რომლებიც კი შედის მის გამგებლობაში, ცემს დეკრეტებს, განკარგულებებს, ინსტრუქციებს და საერთოდ იღებს ყოველ საჭირო ზომას მათზე დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად.

6. მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე ეკონომიურ ორგანოების მოქმედების გასაერთიანებლად არსდება „უმაღლესი ეკონომიური საბჭო“, რომელიც მოქმედებს საკავშირო საბჭოს მუდმივი კომისიის უფლებებით.

სისხლით შეღებილი შაბათი

(მუშათა მიტინგის დახვრეტა ალექსანდრეს სახელობის ბაღში 10—23 თებერვალს 1918 წ.)

1917 წ. ნოემბერი და დეკემბერი იყო დრო კავკასიის ძირითად უმთავრეს პოლიტიკურ პარტიების თვითგამორკვევისა. ქართველ მენშევიკების, სომეხ-დაშნაკების, აზერბეიჯანელ მუსავატისტების და მათი მაჩანჩალების—ფედერალისტების, ესერების და მათ მსგავსების ბლოკმა (კავშირმა) გაბედულათ დაიკავა საომარი პოზიცია წინააღმდეგ ოქტომბრის რევოლიუციისა, საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ გადატრიალების მქადაგებლების—ბოლშევიკების პარტიისა და კავკასიის ფრონტის ჯარებისა.

ეგრედ წოდებულ ეროვნულ საბჭოებში ამ კონტრ-რევოლიუციონურ პარტიებს ჰქონდათ დასაყრდნობი პუნქტი შინაურ შოვინიზმისა, ხოლო საოლქო ცენტრში მათ მოაწყვეს მთავარი შტაბი საერთო გამოსვლებისთვის წინააღმდეგ მოზღვავებულ მუშურ-გლეხურ რევოლიუციის ტალღებისა.

ეს რეაქციონური ბლოკი დაუკავშირდა ჩრდილოეთ კავკასიის კონტრ რევოლიუციას მეფის გენერლების დ ველურ მთიელ მემამულეებისას დ ამარაგებდა მას იარაღით, საბრძოლველ სურსათით და ყველაფრით, რაც კი საჭირო იყო მშრომელთა წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლისთვის. რუსეთის კონტრ რევოლიუციას ნამეტნავათ დიდი სამსახური ამიერ კავკასიის ძმებმა ყაჩაღებმა მით გაუწიეს, რომ მისი ზურგი უშიშარ ჰყვეს კავკასიის ჯარის რევოლიუციონურ ნაწილების განადგურებით. ნ. ჟორდანიას მიერ ტელეგრაფით მიცემული ბრძანების ძალით რკინის გზებით მიმავალ ჯარების ეშელონები უთუოთ უნდა განეიარაღებინათ ყოველი საშუალებით. ამის შედეგი იყო—რუსის ჯარის-კაცების ამოხოცვა შამხორთან, განჯასთან, ხაჩმასთან და სხვა ადგილებში მუსულმანთა ეროვნულ საბჭოს ჩასაფრებულ ბანდების მიერ. ამიერ კავკასიის საზღვრების დამცველთა გვამები ათასობით იყო მოფენილი რკინის გზის ხაზზე. ამბუჩად აგდება, გაცარცვა, სიკვდილი „დემოკრატიის“ ტერიტორიაზე ჰხვდათ წილად ჯარისკაცებს, რომელნიც მიისწრაფოდნენ ჩრდილოეთისკენ იმ მუშაგლეხთა მასსების საშველათ, რომლებმაც დაამსხვრიეს უღელი კაპიტალისტების და მემამულეებისა.

სხვა გზებზე შინ მიმავალ რუსის ჯარებს,—ასე დაიდვა წესათ,—იარაღს ჰყრიდნენ დ სცარცვავდნენ. კაზაკების ნაწილებს კი და აგრეთვე ნამდვილათ აშკარა რეაქციონურ ჯარის ნაწილებს დაუბრკოლებლივ უშვებდნენ: ამიერ-კავკასიის რეაქცია ამ მხრივ არა თუ მარტო დაემსგავსა, არამედ მან გადააჭარბა კიდეც სისხლიან საგმირო საქმეებს უკრაინის ბურჟუაზიულ რადისას.

იმის შემდეგ, როცა სისხლი გამოუშვეს რევოლიუციონურ ჯარებს და უმთავრესი საფრთხე თავიდან აიცილეს „რევოლიუციონურ ორგანიზაციების“. ამიერ კავკასიის ცენტრმა გადასწყვიტა აქტიური მოქმედება დაეწყო კონტრ-რევოლიუციის შინაგან მტრების—ე. ი. ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამ ცენტრმა მიანდო თავის პირმშო შვილს ამიერ კავკასიის კომისარიატს—დაეწყო **აქტიური ბრძოლა** ბოლშევიკების წინააღმდეგ. საოლქო ცენტრის დირექტივას განსახორციელებლად ამიერკავკასიის კომისარიატმა თავისი თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი აღჭურვა დიქტატორის რწმუნებებით და მიანიჭა მას უფლება მარტოდ მარტო პირადად მოეხმარებინა მთელი შეიარაღებული ძალები და მიეღო გადაწყვეტილებანი „გამოწვეულნი მიმდინარე მომენტის მიერ“.

1918 წ. 8 (21) თებერვალს ღამით თბილისში დახურეს სამი გაზეთი ჩვენი პარტიისა: რუსული „კავკასიის მუშა“, ქართული „ბრძოლა“ და „სომხური „ბანვორი კრივ“. დახურეს კანტორაც და სტამბაც; აწყობილი შრიფტი დაფანტა მილიციამ, რომელსაც, რასაკვირველია, ორდერიც კი არ აღლო ამისთვის, მით უმეტეს, დამატებითი, უაღრესათ ხულიგანურ მოქმედებისთვის. ამავე დროს დაატუსაღეს მთელი რიგი ჩვენი პარტიის პასუხისმგებელ მუშაკებისა, მათ შორის—წევრები თბილისის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოსი და აგრეთვე წევრები ჯარის საოლქო ცენტრის ბოლშევიკურ ფრაქციისა. ბევრი ამხანაგი მიიმალა, „იატაკ ქვეშ“ დაიწყო მუშაობა.

თბილისის პროლეტარიატის მოწინავე ნაწილმა—რკინის გზის სახელოსნოების მუშებმა, მბეჭდავებმა, ელექტრონის მუშებმა და სხვებმა ამ იერიშის პასუხათ გამართეს გაფიცვა პროტესტის ნიშნათ. მენშევიკები ყველგან შლიდნენ ამ გაფიცვას, თუმცა თითონ პირველნი ყვიროდნენ მუშათა რევოლიუციონურ ფრონტის ერთიანობაზე. შაბათს, 10 (23) თებერვალს ქართველ მენშევიკების ორგანო „ერთობა“ მხოლოთ ნახევარი ფურცელი გამოვიდა. რკინის გზის სახელოსნოებში მუშაობდნენ მხოლოთ მენშევიკები.

რკინისგზის რაიონის მუშების ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭირა ჩვენი პარტიის თბილისის კომიტეტმა, 12 საათზე დაინიშნა ალექსანდრეს ბაღში მიტინგი-პროტესტი ამიერკავკასიის „რევოლიუციონურ“ მთავრობის რეაქციონურ გამოსვლის წინააღმდეგ.

დანიშნულ დროს ესტრადის გარშემო ბაღში შეიკრიბა 600 კაცამდე მუშა და ჯარისკაცი, მალე მოვიდნენ წითელი დროშებით რკინის გზის მუშებიც—500 კაცამდე. მშვენიერი ამინდი იყო და ამის გამო მრავალ საზოგადოებას, ქალსა და ბავშვს, მოეყარა თავი ბაღში.

მიტინგი გახსნა ამხ. კუზნეცოვმა, ამხ. სტეფან შაუმიანის მდივანმა. —ამხ. შაუმიანი იმ ხანათ რ. ს. ფ. ს. რ.—ის სახ. კომისართა საბჭოს მიერ დაინიშნა კავკასიის უმაღლეს კომისარათ.—მენშევიკების, დაშნაკების და სხვათა ბლოკმა, რომელმაც თავმდაბლათ გამოსთხოვა მილიუკოვ-ლვოვის დროებით მთავრობას და მიიღო ამიერ კავკასიის განსაკუთრებული კომისარიატი, შემდგარი რუსეთის კადეტისა, დაშნაკისა, მუსავატისტისა, მენშევიკისა და ფედერალისტისაგან, ამ ბლოკმა არა თუ არ მიიღო მუშურ-გლეხურ მთავრობის კომისარი, არამედ დაადგინა კიდეც დაეპატიმრებინა იგი და განედევნა ამიერ-კავკასიიდან. ამიტომაც ამხანაგი შაუმიანი გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაზე და ვერ დაესწრო მიტინგს; იგი იმ დროს დამალული იყო ამხ. ხანოიანის ბინაზე ბებუთოვის ქუჩაზე.

მიტინგის თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ს. ქავთარაძე, რომელიც არალეგალურ ბინიდან ყრუ-ვიწრო ქუჩებით მოვიდა ბაღში.

გამოვიდნენ სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლები, მათ შორის სოც.-რევოლიუციონერების ყრილობის დელეგატები, რომლებმაც, აშკარაა, წინათვე იცოდნენ ხელისუფალთა გადაწყვეტილება, იდუმალებით მოცულ კილოთი ამტკიცებდნენ უმარილო უგემური სიტყვებით, სისხლის ღვრა საჭირო არააო, თუმცა მიტინგი მიდიოდა ჩინებულად და მის მონაწილეთაგანი არავინ არ იყო შეიარაღებული.

მერე ზოგიერთი ამხანაგები გადმოგვცემდნენ (და ეს ხაზგასმული იყო ჩვენს პროკლამაციაში, რომელიც მეორე დღეს გამოუშვით), რომ ცნობილმა მენშევიკებმა ნოე ხომერიკმა და პეტრე გელეიშვილმა დასუნეს მიტინგი და განკარგულება მოახდინეს დაეკეტათ კლიტით ბაღის ყველა კარები, გარდა კარებისა ბარიატინსკის ქუჩაზე. მათ წამოისროლეს შავბედითი სიტყვები: „დაე იყბედონ, 1 მეოთხედი საათის შემდეგ შურის ძიება მოესწრობიან“.

ესერის სიტყვის დროს მიტინგის უკანა რიგები შეინძრა. თურმე, მილიციონერი ლანძღავდა მიტინგის მონაწილეებს, უბძანა დაშლილიყვნენ და თოფი დაუმიზნა ესტრადაზე მდგომ ამხანაგებს. ერთმა ჯარისკაცმა მას წაართვა თოფი და ურჩია იქიდან დაკარგულიყო. მე ესტრადიდან ჩამოველ და გავაშველე ისინი. ამხ. არაქელამ ეს თოფი მახლობელ უბნის კომისარიატში წაიღო და აუხსნა იქ, თუ რისთვის აჰყარეს იარაღი მილიციონერს. უპასუხეს, რომ ეგ უბრალო საქმეაო, მაგრამ „კაცებს მაინც გამოვგზავნითო“. ჩვენგან ვერავინ ვერ გაიგო ამ სიტყვების მნიშვნელობა, თურმე მათში, როგორც მერე გამოირკვა, იმალებოდა გეგეჭკორი-ჟორდანიას მთავრობის გადაწყვეტილება—სისხლის აბანო მოეწყოთ.

1 ნახ. საათის შემდეგ ბარიატინსკის ქუჩის მხრით კარებში შემოვიდა რაზმი (როგორც მერე აღმოჩნდა—სასახლის დარაჯთა რაზმი მენშევიკურ „წითელ გვარდიიდან“).

რაზმს ჰქონდა უზარმაზარი წითელი დროშა, რაღა თქმა უნდა, წარწერით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ და... ტყვიისმფრქვეველი. მიტინგის მონაწილეთა ერთი ნაწილი, როგორც ეს ჩვეულებრივათ ხდება ამნაირ შემთხვევებში, შეკრთა, აირ-დაირია. ამის პასუხათ რაზმში გაისმა ძახილი: „ჩვენ თქვენები ვართ, ნუ გეშინიანთ!“, რაზმელები ხელის ქნევითაც ამშვიდებდნენ მიტინგის მონაწილეთ. ქართველ ეროვნულ ჯარის ნაწილებში იმ დროს დიდი არეულობა სუფევდა, მთელი პოლკები თავის ნებით აწყობდნენ „გამოსვლებს“. მენშევიკები წამ და უწუმ ამშვიდებდნენ და შინ ითხოვდნენ აჯანყებულ, „ბოლშევიზმით“ შეპყრობილ ნაწილებს. ამიტომ ბევრმა ჩვენგანმა სრულობით საშიშათ არ ჩააგდეს ამ რაზმის მოსვლა და დაიჯერეს ძახილი და დარწმუნება, რომელიც გაისმოდა რაზმიდან, დაიჯერეს სიტყვები, რომლებიც სატანის მაცდური სიტყვები აღმოჩნდნენ.

თავმჯდომარემ დააშვიდა ამ მხრივ მიტინგი, ხოლო ამხ. კუზნეცოვი გაემართა რაზმისკენ იმ განზრახვით, რომ მისალმებოდა მას მიტინგის სახელით, მაგრამ მას აღარ დასცალდა ჯალათების მისალმება...

რაზმის ნაწილი დადგა ხალხთან, კარებთან რომაა, დანარჩენნი კი ჯაჭვივით სამი მხრით შემორტყნენ მიტინგს. როცა ეს საეჭვო და შავბედითი მზადება დაინახეს, მიტინგის შემთხვევითი მონაწილენი გაიქცნენ ერთათ-ერთ თავისუფალ მხარეს პუშკინის ბიბლიოთეკისკენ რაზმელები თან ახალ პოზიციებზე გადარბოდნენ, თან უბძანებდნენ გაჩერდითო და თან თოფს უმიზნებდნენ.

იმ წამს (სიტყვას ამბობდა, გვგონია, ამხ. ნ. ცერცვაძე), გაისმა უცებ თოფების „ზალპი“, მერე დაიწყო სროლა „პაჩკებით“,—„იქნება ეს სამხედრო სალამი იყოს მუშათა მიტინგის პატივსაცემლათ“? გამიელვა თავში უცებ სულელურმა აზრმა. თვით ტყვიისაგან განგმირული ორი ამხანაგის ძირს დაცემამაც კი ვერ გამომაფხიზლა უცებ. მიტინგი მიწაზე გაწვა. მოძრაობის ტალღამ მეც სხვებთან ერთათ ესტრადიდან მიწაზე გადამაგდო. მე მოვყევი ამხ. მაჩაიძის გვერდით. გორიზონტალური მდებარეობის მიღება არ შემეძლო, ამისთვის ადგილი არ მყოფნიდა, თანაც მე ვერ დავარწმუნე ჩემი თავი, რომ ისროდნენ საომარ და არა ფუჭ პატრონებით, გაუფრთხილებლივ, დარწმუნების შემდეგ: „თქვენი ვართო“! მაგრამ სროლას განაგრძობდენ. დამჯდარი, ვიყურებოდი მე სხვა და სხვა მხარეს და ვათვალიერებდი „საომარ ხაზს“. ხაზის გვერდით, წითელ დროშის ქვეშ, იდგა ვიღაცა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი (რომელიც აღმოჩნდა რაზმის უფროსი იმნაძე) „ნაგან“-ით ხელში. მის გვერდით ვიღაც—სამოქალაქო ტანთსაცმელში (რომელიც აღმოჩდა ავაკიანი საბჭოს აღმასკომის წევრი, გამოგზავნილი, როგორც „პოლიტკომი“ სროლის მომწყობად. ეს ავაკოვი ისროდა რევოლვერიდან ხან ჰაერში, ხან ესროდა დაწოლილებს. ასევე მუშაობდენ რაზმელები. ტყვიისმფრქვეველის ხმას მე არ ვყურობდი, თუმცა ვხედავდი მის პირს, ჩვენზე მომიზნებულს, და ტყვიისმფრქვეველის მსროლელთა გამზადებულ რიგს, რომელნიც დაეხეტებოდენ მის გარშემო.

თავისთავად ცხადია, შეუძლებელია და საჭიროც არ არის იმის აწერა, რაც ხდებოდა „აქეთ მხარეზე“. ბევრნი, შემთხვევით მომხდარნი ამ

7. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს შემადგენლობაში შედის მის თავმჯდომარის უფლებებით საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე და წევრების უფლებებით სამხედრო და საზღვაო საქმეთა, ფინანსთა, გზათა მიმოსვლის, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარები, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოების წარმომადგენლები, ამიერ-კავკასიის პროფკავშირების საბჭოსა და საკავშირო მუშა-გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი.

8. უმაღლესი ეკონომიური საბჭო იმუშავებს მოკავშირე რესპუბლიკების ერთიან სამეურნეო გეგმას, უდგენს მას დასამტკიცებლად კონფერენციას, უძღვება ეკონომიურ კომისარიატების მუშაობას, ამ გეგმის მიხედვით, თვალ ყურს ადევნებს მის განხორციელებას და საჭიროების დროს ახდენს ამ გეგმის შესწორებას.

9. ყველა საკავშირო უწყებებისა და დაწესებულებებისა და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებისათვის აუცილებლად სავალდებულოა უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებები.

10. იმ შემთხვევაში, როდესაც უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებები ეხება არა გაერთიანებულ უწყებებს და დაწესებულებებს, უმაღლესი ეკონომიური საბჭო ანხორციელებს ამ დადგენილებებს სათანადო რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოების საშუალებით.

11. საკავშირო საბჭოსთან დგება საკავშირო მუშა-გლეხთა ინსპექცია, რომელიც უძღვება და აერთიანებს რესპუბლიკების სახალხო მუშა-გლეხთა ინსპექციის კომისარიატების მუშაობას საკავშირო კომპეტენციის საკითხების ფარგლებში და აგრეთვე საკავშირო ორგანოების მოქმედების საკონტროლოდ.

12. საკავშირო საბჭო და მისი ხელქვეითი ორგანოები ყველა თავის მოქმედებათა ანგარიშს უდგენენ სრულუფლებიან კონფერენციას კავშირში შესულ რესპუბლიკების წარმომადგენლებისას. სრულუფლებიან კონფერენციას უფლება აქვს შეაჩეროს ან გააუქმოს ყოველგვარი დადგენილება ან გადაწყვეტილება საკავშირო საბჭოსი, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსი და სხვა საკავშირო ორგანოებისა, როგორც რესპუბლიკის მთავრობების პროტესტის მიხედვით ისე თავის შეხედულებით.

13. რესპუბლიკების კავშირი ამყარებს ურთიერთობას რ. ს. ფ. ს. რ.-თან საკავშირო ხელშეკრულების საფუძვლებზე.

გენუას კონფერენციისათვის

გერმანიის წინასწარი სამზადისი.

ბერლინი. 10 თებერვალი. რადიო. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის რატენაუს განკარგულებით, სამინისტრო შეუდგა სამზადისს სამუშაოს. საუწყებათა შორისო თათბირებში მონაწილეობენ: ფინანსთა, სავაჭრო, შრომის, სახელმწიფო ბანკის, და წარმოების სამინისტროები. მსჯელობენ ფინანსიურ ეკონომიურ საკითხებზე და კერძოთ საკონტრიბუციო პრობლემაზე.

ამ თათბირების მასალები და ოქმები წარედგინება გენუის კონფერენციას.

გერმანიის როლი კონფერენციის შემდეგ.

ნაუენი. 10 თებერვალი. (რადიო). ჩეხო-სლოვაკიის პრემიერმა ბენეშმა ლონდონის გაზეთის „დეილი ტელეგრაფის“ კორესპოდენტთან საუბარში გამოსთქვა რწმენა, რომ გენუის კონფერენციის შემდეგ, გერმანიის როლი ევროპის კონტინენტში შეიქმნება ფრიად მნიშვნელოვანი. ლოიდ-ჯორჯთან თათბირის გამო ევროპის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ბენეში აცხადებს, რომ გერმანია, გენუის კონფერენციის დამთავრების შემდეგ მიღებული იქმნება ევროპის აღდგენის მონაწილეთა რიცხვში.

გერმანია აღადგენს ყველა თავის საერთაშორისრ დამოკიდებულებას და გააძლიერებს მას მეზობელ სახელმწიფოებთან. ლოიდ-ჯორჯის აზრით, განაცხადა ბენეშმა, უნდა მიღებულ იქმნას მხედველობაში გერმანიის გეოგრაფიული მდებარეობა, რის გამო ეს ცენტრალური სახელმწიფო არის მნიშვნელოვანი ფაქტორი საერთო ეკონომიური ცხოვრების.

პუანკარეს ფიასკო.

ნაუენი, 13 თებ. (რადიო). რეიტერის სააგენტო იუწყება: პუანკარეს ყველა სურვილებს და ფიქრებს გენუას კონფერენციის შესახებ მოელის სრული დამარცხება, თუ ლონდონის მთავრობა უარს ეტყვის საფრანგეთს კონფერენციის არამც თუ გადადებაზე, არამედ მცირე ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენლების მოწვევაზეც კი.

ანგორის მუქარა.

ნაუენი. 13 თებ. (რადიო). ქემალფაშამ განაცხადა, რომ ანგორის მთავრობა არ მიიღებს გენუის კონფერენციის არც ერთ დადგენილებას ოსმალეთის შესახებ, თუ მისი დელეგაცია არ იქნება დაშვებული კონფერენციაზე სხვებთან ერთად თანასწორი უფლებებით.

ინგლისის და საფრანგეთის უთანხმოება.

ბორდო, 18 თებერვალი (რადიო). „ეკო დე პარი“ აცხადებს, რომ საფრანგეთის ექსპერტები არ წავლენ ლონდონს მოკავშირეთა თათბირზე, სანამ ლოიდ ჯორჯი არ გასცემს პასუხს გენუას შესახებ საფრანგეთის მემორანდუმზე.

ბონომი გენუას კონფერენციის შესახებ.

რომი, 18 თებერვალი. (რადიო იტალიის ტელ. სააგ.) ბონომი გამოვიდა რა, დეპუტატთა პალატის მორიგი სესსიის პირველ სხდომაზე მთავრობის დეკლარაციით, დაადასტურა გენუას კონფერენციის მოწვევის აუცილებლობა საურთიერთაშორისო გაცვლა გამოცვლის აღსადგენად და ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიური რეჟიმის მოსაწესრიგებლად.

ნაკაზი რუსეთის დელეგაციას.

მოსკოვი, 13 თებერვალი. მოსკოვის საბჭომ დაამტკიცა შემდეგი ნაკაზი რ. ს. ს. ფ. რ. დელეგაციისა გენუის კონფერენციაზე. ამ ნაკაზში სწერია: „მოსკოვის საბჭო საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას იწონებს სრულად, რომელმაც ევროპის სახელმწიფოები მიიყვანა რ. ს. ს. ფ. რ. პირდაპირ მოლაპარაკების აუცილებლობამდი. მოსკოვის საბჭო იწონებს დელეგაციის შემადგენლობას და ავალებს მას მუდმივ ახსოვდეს, რომ საერთო კონფერენციაზე იგი მივა როგორც წარმომადგენელი რუსეთის მშრომელთა მასსისა, რომელმაც მესაკუთრეობის და კაპიტალის უღელი მოიშორა, რომ იგი წარმომადგენელია ყველაზე მეტად დაზარალებულ რესპუბლიკისა, რომელმაც ყველაზე მეტი უბედურება გადაიტანა იმპერიალისტებისგან მოხვეულ ომისგან. ჩვენ არ ვედავებით ჩვენ მიერ შეწირულ მსხვერპლის გადახდსა სხვა ხალხების შრომის ანგარიშზე, მაგრამ ჩვენ ამავ წამს ვერ შევსწირავთ ვერც ერთ წვეთს მუშის ოფლისას, რომ ამით გავამდიდროთ ისინი, ვინც ხალხის უბედურებაზე ქონებას იძენს ვუწევთ რა ჩვენს თავს ანგარიშს, რომ საერთო კონფერენციაზე ცენტრალურ საკითხად იქნება კითხვა ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენისა, მოსკოვის საბჭო ავალებს დელეგაციას, არ დასთმოს არც ერთი კაპეიკი ხალხის მიერ შრომით შექმნილ ქონებისა. ღრმათ დარწმუნებული, რომ მხოლოდ საერთო გადასვლა მესაკუთრეობის კომუნისტურ სისტემაზე შექმნის ნამდვილ გამოსავალს იმ სიღატაკის და სისხლის კვანძიდან, რომლამდინაც მიყვანილია მსოფლიო კაპიტალის მბრძანებლობით, იმპერიალისტურ ომით და დაგვირგვინებულ იძულებით ზავით, მოსკოვის საბჭო ავალებს დელეგაციას შეგნებულად მოეკიდოს ყოველ წინადადებას, რომელსაც ცოტაოდენი შემსუბუქება მაინც შეუძლიან მოუტანოს მსოფლიოს მშრომელთათვის.

მოსკოვის საბჭო დარწმუნებულია, რომ კაპიტალისტურ ანგარების ინტერესებს რ. ს. ს. ფ. რ. დელეგაცია დაუპირდაპირებს საქმიან პროგრამას დაუყონებლივ ზომებისა, რომლებშიც ხალხები, განტანჯულნი ომით, შიმშილით და ეკონომიურ განადგურებით, იპოვიან თავის ინტერესების და იდეალების გამოხატულებას“.

მოსკოვის საბჭოს მიმართვა მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი.

მოსკოვის საბჭომ ამხ. ჩიჩერინის წინადადებით, დაადგინა მიმართოს მოწოდებით მთელ მსოფლიოს მშრომელებს, მტკიცე იმედის გამოთქმით, რომ რუსეთის მუშების და გლეხების დელეგაცია მსოფლიო კონფერენციაზე, მოიპოვებს დახმარებას და თანაგრძნობას მთელ მსოფლიოს მშრომელებისას, ვინაიდან რ. ს. ს. ფ. რ. დელეგაციის პროგრამა იქნება მხოლოდ გამოსახულება მშრომელების მოთხოვნილებებისა და იდეალებისა, რომელნიც გატაცებული არიან ომით და იძულებით ზავით. ყველა მშრომელთა ინტერესების ერთობის შეგნებით მოსკოვის საბჭო მოუწოდებს ყველა დაჩაგრულებს და გაუბედურებულებს ბრძოლის ლოზუნგით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. გაუმარჯოს მუშათა საქმის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში“.

გადადების გარშემო.

მოსკოვი. 21 თებერვალი. რადიო. საფრანგეთის პრესის აზრით, იტალიაში სამინისტროს კრიზისი აუცილებლათ გამოიწვევს გენუას კონფერენციის გადადებას.

იტალიაში ქაოსი.

მოსკოვი. 21 თებერვალი. რადიო. გაზეთ „ინფორმასიონის“ რომის კორესპონდენტი ახასიათებს მთავრობის წრეების განწყობილებას გენუას კონფერენციისადმი და საერთო ხაოტიურ მდგომარეობას, რომელიც შექმნილია მთავრობის კრიზისის გამო. თუმცა, როგორც იუწყება კორესპონდენტი, იტალიურ ოფიციოზში გამოქვეყნებულია დეკრეტი 3.5 მილ. ლირის გადადების შესახებ კონფერენციის მოწყობისთვის, მაგრამ პარლამენტში და პრესაში გრძელდება რთული ბრძოლა. ჯიოლიტის მომხრენი წინააღმდეგნი არ არიან კონფერენციის წარმომადგენლის როლში გამოვიდეს ეხლანდელ კაბინეტის მეთაური. ისინი ირწმუნებიან, რომ ბონომი ერთ ერთი მიზეზია კანის კონფერენციისა აგრარიები და მემარჯვენენი, სონინოს და სალანდრის პარტიები კატეგორიულ უარს აცხადებენ საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარ კონტაქტზე, რომელიც, მათი სიტყვით, მხოლოდ სააგიტაციო მიზნებს ისახავს ასეთივე აზრს ატარებს ფაშისტთა წინამძღოლის მუსოლინის ორგანო „პოპოლი დ' იტალია“. მოსალოდნელ გამოსვლებზე, ბოლშევიკებისთვის სიმპატიების გამოცხადებაზე, ფაშისტები, სთქვა მუსოლინიმ, უპასუხებენ კონტრ გამოსვლებით. ამ შემთხვევაში, იძრება საკითხი საზოგადოებრივ მშვიდობიანობაზე, ვინაიდან ქუჩის უწესოება მოაკლებდა გენუას კონფერენციას იმ ბრწყინვას, რომელიც უნდათ მას მისცენ.

წინასწარი თათბირი.

მოსკოვი, 21 თებ. (რადიო). გავასის სააგენტოს ცნობით, ინგლისსა და საფრანგეთს შორის მიღწეულია შეთანხმება, პოლონეთის და მცირე ანტანტის ქვეყნების მონაწილეობის საკითხში, წინასწარ ტეხნიკურ თათბირში, რომელსაც იწვევენ გენუას კონფერენციის გახსნამდი.

ოსმალეთი და კონფერენცია.

მოსკოვი, 21 თებერვალი (რადიო). პარიზიდან მიღებულ ცნობით, ოსმალეთის მოთხოვნილება, რათა იგი დაშვებულ იქნას გენუას კონფერენციაზე, მოკავშირეთა მიერ უარყოფილია იმ საფუძვლით, რომ ოსმალეთი არაა ევროპიული სახელმწიფო და გარდა ამისა საომარ მდგომარეობაში იმყოფება.

პუანკარეს ტაქტიკა.

მოსკოვი, 21 თებერვალი (რადიო) ვარშავის გაზეთი: „რეჩ პოსპოლიტა“ წერს: პუანკარემ როგორც ფხიზელ პოლიტიკოსმა, აშკარათ დაინახა, რომ რაკი დადგა დრო საბჭოთა რუსეთთან შეხვედრისა, იქნება უფრო მიზანშეწონილი, თუ საფრანგეთი უშუალოდ, მაგრამ ფრთხილად, ისე რომ მოკავშირეებთან არ გაიფუჭოს ურთიერთობა, შეუდგება მოლაპარაკებას საბჭოთა რუსეთთან, იმ კითხვებზე, რომელიც ორივე მხარეს აინტერესებს.

ამხ. კარახანი კონფერენციის შესახებ.

ვარშავა, 17 თებერვალი (რადიო. რ. ს. ს. ფ. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენელმა პოლონეთში ამხ. კარახანმა, პოლონურ გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: „ჯერ კიდევ წინეთ 1919 წელს, როდესაც იბადებოდა იდეა კონფერენციის შესახებ პრინცების კუნძულზე, რუსეთი ერთად ერთი ქვეყანა იყო, რომელიც თანახმა იყო კონფერენციისა. უკანასკნელი არ შესდგა, რადგანაც რუსეთის მტრებმა, ომი დაუწყეს მას ყველა ფრონტებზე. მაგრამ ამბების მძლავრ მსვლელობამ დაამტკიცა, რომ ურუსეთოდ შეუძლებელია სამეურნეო სიძნელისგან გამოსვლა, რომელსაც განიცდის ევროპა. გენუას კონფერენციის ინიციატივა ეკუთვნის ინგლისის დიპლომატიას, რომელიც უფრო მომქმედია და მგრძნობიარე. საფრანგეთის დიპლომატიამ რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ომის შემდეგ დაბრმავებისგან, უნდა მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაში, როგორადაც უსიამოვნო არ უნდა იყოს ეს მისთვის. უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ უთანხმოება ლოიდ-ჯორჯის და პუანკარეს შორის კომპრომისების საშუალებით აშორებული იქნება. თავშეკავებულ დამოკიდებულებას ამერიკისას კონფერენციისადმი, ზოგიერთი ხსნის პოზიციით ამერიკის მიერ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიღებულის, მაგრამ წინა რიგში, დგას დამოკიდებულება ამერიკისა საფრანგეთისადმი. ამერიკას უნდა დაეყენოს საკითხი საფრანგეთის არმიის შემცირების შესახებ.

ამხ. კამენევი გენუას შესახებ.

მოსკოვი. 18 თებერვალი. მოსკოვის საბჭოთა სხდომაზე ამხ კამენევი, შეეხო რა გენუას კონფერენციას, სთქვა გენუას კონფერენცია იქნება არენა ყოველგვარ პრეტენზიებისა, კერენსკის მიერ ზურგ გამაგრებულის.

ჩვენ წინ დავუყენებთ ჩვენს პრეტენზიებს, რომელზედაც ხელს აწერს რუსეთის მშრომელი მოსახლეობა. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი წინადადებანი, რომელნიც მშრომელი მასის მიერაა წამოყენებული, კონფერენციაზე მიღებული იქნება. ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი პატივი, რომელიც ოთხი წლის ბეჯითი შრომითაა მიღწეული, კონფერენციაზე, დიპლომატიურ მაგიდის წინ არ იქნება გაყიდული. ჩვენი წარმომადგენლები გენუაში იტყვიან, რომ ჩვენ ზავი გვსურს რომელიც შეძლებას მოგვცემს ჩვენი მეურნეობა ფეხზე დავაყენოთ და ჩვენ დავუმტკიცებთ, რომ ჩვენი ქვეყანა, რომელიც მუშების და გლეხების მიერ იქმნებოდა, კაპიტალისტთა დაუხმარებლათ, ნამდვილად სამეურნეო ქვეყანაა. რომ იგი ფართოა, მდიდარია, ძლიერი და მოაქვს უფრო მეტი კულტურა, განათლება, ვიდრე კაპიტალისტურ მეურნეობას, რომლის სადარაჯოზე კაპიტალისტური სახელმწიფოები სდგანან.

საფრანგეთის ბურჟუაზიის ოცნება.

ბორდო. 21 თებერვალი, (რადიო). საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესის აზრით გენუის კონფერენცია ვერ გადასჭრის რუსეთის საკითხს. „გოლუა“ აღნიშნავს, მხოლოდ „გამოცდილება დაარწმუნებს ყველას, რომ საბჭოთა რეჟიმი და რევოლიუციონური თეორია, რომელსაც ქადაგობენ კრასინი, ჩიჩერინი და რადეკი მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. არსებითად რომ ვსთქვათ, საფრანგეთმა საჭიროა იცოდეს ერთირამ: შეუძლიათ თუ არა უცხოელებს რუსეთში დაბრუნება, იქ თავისუფლად ცხოვრება და წარმოების რეორგანიზაციის დაწყება, მუშაობის თავისი მეთოდების მიხედვით წარმოებაშიაც და დედამიწის გულის დამუშავებაშიც. მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთში გაჩნდება საკმაო რიცხვი მწარმოებლებ-მრეწველობისა, უცხოეთის ტეხნიკური ძალები, დაიმედებულნი მუშაობის ნორმალურ მსვლელობაში, მაშინ შეიძლება რუსეთისადმი ნდობით აღჭურვა. ეჭვს გარეშეა ერთი: ნდობის დამსახურება შესაძლებელია არა სიტყვებით, არა დაპირებით, არამედ ფაქტებით.

ინგლისი და გენუა.

ლონდონი. 21 თებერვალი. (რადიო). თუმცა აქამდე არ არის არავითარი ოფიციალური ცნობა გენუის კონფერენციის გახსნის დღის შესახებ, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ლონდონის მთავრობა შეურიგდება გადადებას. „დეილი ქრონიკლი“ იუწყება, რომ მთავრობის წრეები სცნობენ კონფერენციის გადადების აუცილებლობას. გაზეთი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ კონფერენციას გადადება მოელის, მაგრამ სთვლის, რომ ეს თვე შეიძლება კონფერენციისათვის სასარგებლოდ გამოყენებულ იქნას.

იტალია და გენუა.

ბორდო, 21 თებ. (რადიო). „ტანი“ ამტკიცებს, რომ იტალიის მთავრობის კრიზისი აუცილებელს ხდის გენუას კონფერენციის გადადებას. საფრანგეთი მართალი იყო, როცა მან გაითვალისწინა სხვადასხვა სიურპრიზები. ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთი ერთი წუთითაც არ აფერხებს თავის სამზადის მუშაობას. ყველა ფინანსიურ-ეკონომიური ხასიათის კითხვებს, რომელსაც აქვს საერთო ევროპიული მნიშვნელობა გულმოდგინეთ არჩევენ.

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობისათვის

მოლაპარაკება

ბერლინი. 21 თებერვალი. რადიო. ბერლინის გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობის და რ. ს. ს. რ. წარმომადგენელთა შორის სწარმოებს მოლაპარაკება. რუსეთის წარმომადგენელია სკობელიოვი.

ბორდო 21 თებერვალი (რადიო). საფრანგეთის ოფიციალური პრესსა კატეგორიულად უარყოფს გერმანიის ცნობას რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკების შესახებ.

„ტან“ი აღნიშნავს, რომ არამც თუ გერმანიის, ინგლისის პრესაც იუწყება რუსეთ საფრანგეთის მოლაპარაკებაზე გაზეთი აღნიშნავს, რომ აქამდე საფრანგეთის მთავრობა არავითარ კონტაქტში არ იმყოფება საბჭოთა რესპუბლიკასთან. ის პოზიცია, რომელსაც აწერენ საფრანგეთს საბჭოთა რუსეთის მიმართ, ეწინააღმდეგება საფრანგეთის პოლიტიკას, რომელიც სცდილობს რუსეთის საკითხების გადაჭრას მოკავშირეებთან სრული თანხმობით, იმ მიზნით რომ რუსეთის მიმართ შექმნას საერთო საკავშირო ფრონტი.

„უწყებები“ რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმებაზე

მოსკოვი. 14 თებერვალი. „იზვესტია“, ეხება რა რუსეთ საფრანგეთის—შეთანხმებას, სწერს: საქმე მდგომარეობს შემდეგში: თუ რომ გენუის კონფერენცია, რა მიზეზიდაც არ უნდა იყოს, არ შესდგება, ან თუ უშედეგოდ დამთავრდება, საფრანგეთის მთავრობა მაინც ფიქრობს, და საფრანგეთის ბურჟუაზიული გავლენიანი პრესსა იწყებს ლაპარაკს რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმების და მათი თანამშრომლობის შესაძლებლობაზეც. „ტანმა“ უკვე „გაუშვა საშინჯი სფერო“ და განაცხადა, რომ მზათ არის იცნოს საბჭოთა მთავრობა, როგორც ნამდვილად ხალხური. ეს გაზეთივე, ხაზს უსვამდა რომ საფრანგეთის და რუსეთის ინტერესებს შორის არ არსებობს სხვადასხვაობა. გაზეთი აღნიშნავს, რომ საფრანგეთს აზრათაც არ მოსვლია მოახვიოს რუსეთს შინაური პოლიტიკის ესა თუ ის ფორმა, რომ საფრანგეთის და რუსეთის ნაციონალური ინტერესები, სრულიად არ ეწინააღმდეგება ერთი მეორეს, და რუსეთ-საფრანგეთს შორის შესაძლებელია თანამშრომლობა. გაზეთი იქამდი მიდის, რომ მზათაა დაიცვას წითელი ჯარის მთლიანობა. ეს უკანასკნელი გარემოება გვიჩვენებს, რომ საფრანგეთის ბურჟუაზია მზათაა რუსეთის ჯარში დაინახოს არა თუ მტერი, შესაძლებელია მომავალი მოკავშირეც კი. „იზვესტიას“ მოყავს რა „ტან“-ის მითითება ბრესტ-ლიტოვსკზე, სწერს: „ნუ თუ საფრანგეთის მთავრობა ემზადება რუსეთის მიმართ დაიჭიროს კაიზერის ჯალათების პოზიცია. რესპუბლიკა ახლა ისეთივე მდგომარეობაში იმყოფება, როგორც იყო ის, როცა მას ყელზე მიბჯენილი ქონდა გერმანიის იმერიალიზმის ბოთფორტა. ახლა მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა, სამხედრო, ფინანსიურ და პოლიტიკურ სფეროში. კიდევ უფრო მიუღებელია საფრანგეთის ოფიციოზის თვალსაზრისი სამაგიერო პრეტენზიების საკითხში.

ეჭვს გარეშეა, რომ მას ისევე კარგად ესმის, როგორც ინგლისის მთავრობას, სამართლიანობა და საფუძვლიანობა რუსეთის პრეტენზიების, მაგრამ აშკარად ამას არ აღიარებს.

დასკვნა ნათელია: საბჭოთა რუსეთი არ უარყოფს საფრანგეთთან შეთანხმებას და ყველა სხვა სახელმწიფოებთან.

პირიქით, საფრანგეთთან შეთანხმება ხელსაყრელია რუსეთისთვის ბევ-

---

ჯოჯოხეთში, იქნევენ თეთრ ცხვირსახოცებს, ითხოვენ შეწყალებას და სროლის შეჩერებას. ქალები კვნესენ, ბავშვები ინსტიკტიურად მიეკედლენ ესტრადის ბოძებს, მის ახლო მყოფ ხეს და სდგანან უხმოდ, ვერ მიმხვდარან მომხდარის საშინელებას.

ერთ ყაბალახიან მოხუცმა შინჯა წამოდგომა, მაგრამ ტყვიამ მას თავში გაუარა და ის წაიქცა. მუშამ, რომელსაც თავი ჩემს ფეხებზე ედვა, უცებ დაიყვირა, გაფითრდა,—თურმე ტყვიამ მას დაუმტვრია მუხლი.

მარცხნით ჩემს შინელზე გადმოიქცა სისხლი ნახევრად-დამჯდარ მუშის მხარიდან, რომელსაც ტყვიამ გაუარა მხარის სალსარში. გაჩნდა სისხლის პატარა ტბა, მაგრამ სისხლიდან დაცლილ ამხანაგების შველა შეუძლებელია, რადგან ნათელი გახდა, რომ ცოტათ წამოდგომა ნიშნავს სამუდამოდ დაცემას.

სროლამ გასტანა არა ნაკლებ ხუთი წუთისა.

იმნაძე და ავაკიანი გამზადებულ რევოლვერებით მიუახლოვდენ მწოლარე მიტინგს. ავაკიანი ყვირის და ემუქრება ყველას „დახვრეტას, როგორც ძაღლებს, თუ ვინმე გაბედავს თავის აწევას“. ბევრმა აწია ზევით ხელები სრული მორჩილების ნიშნად, იქნევენ ცხვირსახოცებს, ქალები ისტერიულად ტირიან. მე ვითხოვ ადგომის ნებართვას, იმათ დასახმარებლად, ვინც იცლება სისხლისაგან, ვაცხადებ რომ ვარ ექიმი, მაგრამ ჯალათები არ მაქცევენ ყურადღებას. ისინი დაკვირვებით ჩასცქერიან თვითეულს სახეზე და ეძებენ სასიკვდილოდ გამზადებულთ. დაამთავრა რა დათვალიერება, ავაკიანი დაბრუნდა დროშასთან და გაისროლა რევოლვერიდან ჰაერში.

ეს იყო სროლის განახლების ნიშანი.

დარწმუნდა რა, რომ ბევრი იმათგანი, ვინც უნდა მომკვდარიყო, იმყოფებოდენ მწოლარეთა შორის (ქავთარაძე, კ. ცინცაძე, ნაზარეტიანი და სხვ.) ჯალათებმა, როგორც ჩანს გადაწყვიტეს, ისტორიაში გაუგონარი ბოროტების ჩადენა. სროლა განახლდა წინანდელი ძალით, თუმცა ეხლა რაზმელები ისე მონდომებულად აღარ უმიზნებდენ მწოლარეთ. ბავშვები სავსებით გაიყინენ ადგილებზე და დამუნჯდენ. სამაგიეროდ ქალებმა ვერ მოითმინეს და შინჯეს ადგომა და გაქცევა, მაგრამ მეზობლებს უხთებოდათ მათი შეკავება ასეთი განსაცდელისაგან:

საშინელება და ჯოჯოხეთი... ეხლა, განვლო რა 4 წელმა მას შემდეგ, მე მეძნელება აღვადგინო სურათი პირადი განცდისა იმ საშინელ წუთებში, ზოგიერთი შთაბეჭდილება ახლაც, მთელი თავისი არსებით იპყრობენ საბჭოთა გადატრიალების და აღმშენებლობის მონაწილეებს.

მოვიყვან პატარა ამონაწერს ბროშიურიდან, რომელიც დავსწერე მე მიტინგის დახვრეტის ორი დღის შემდეგ: ხელახლა 10 წუთის სროლა! კიდევ გულშემზარავი, ისტერიული თხოვნა ქალებისა შებრალებაზე. კიდევ გაქვავება დამუნჯებულ ბავშვების! კიდევ კვნესა სასიკვდილოდ დაჭრილ მუშების! და აქვე მტვერში დაყრილი, მუშების სისხლით შეღებილი დროშები, რომლებზედაც გამოსახულია მსოფლიო პროლეტარიატის მოციქულები მარქსი, ენგელსი, ლასსალი! არა ვგრძნობ შიშს, თუმცა სიკვდილი სრბოლავს ირგვლივ. ვმონაწილეობდი მე რუსეთ-იაპონიის ომში. არა ერთხელ ჩაუხედავს ჩემთვის თვალებში სიკვდილს იმპერიალისტურ ომის დროს, როცა გერმანული „ჩემოდნები“ სკდებოდენ ჩემს ახლოს. 15 ათასი დაჭრილი გაუშვი მე ჩემს სასინჯ. პუნქტიდან. ამიტომ მე გულგრილი ვარ ჩემი და სხვისი სიცოცხლისადმი. მაგრამ არასოდეს არ მიგრძნია მე ისეთი ზიზღი სისხლის ღვრის დამნაშავეთადმი, არასდროს არ მიგვრძნია ჩემს სულში, ჩემი გულის სიღრმეში ასეთი ჯოჯოხეთი, როგორც ამ 20 წუთის სროლის დროს ალექსანდრეს ბაღში. თოფების გულშემზარავ სროლაში მე მესმოდა არა სიკვდილის მრისხანე ხმა, არამედ „გამარჯვებულ ღორის სიმღერა“ ბოლოს თოფებიც დაიღალა, სროლა შეწყდა.. არავინ არც გაუჩხრეკიათ, არც დაუჭერიათ. რითაც გამოაშკარავდა მთავრობის სიცრუე, ვითომ მიტინგი შეიარაღებული იყო და სროლა დაიწყეს სწორედ მიტინგის მონაწილეებმა. მე ამიერკავკასიის სახანოს ერთ მოქალაქესთან ერთად, რომელმაც მოისურვა თავისუფალი სიტყვის მოსმენა, მიტინგზე, მაგრამ ტყვიის წვიმამ იძულებული გახადა მიწაზე განთხმულიყო, წავიყვანეთ ერთი მუშა დამტვრეული მხარის შესახვევად უახლოეს აფთიაქში. იქვე მოიყვანეს მეორე მუშა და ქალი.

ჭრილობები გულშემზარავი იყო, ტყვიის შესასვლელი და გამოსასვლელი ადგილები საშინელებას წარმოადგენდენ, ძვლები დამტვრეული იყო. ეჭვს გარეშეა, რომ ისვრიდენ გასახეთქ ტყვიებს. ეს დაადასტურეს მიხეილის საავადმყოფოს ექიმებმაც, სადაც მიიყვანეს ბევრი დაჭრილი დაბრუნებულ ავტომობილებით. „დემოკრატიულ“ მთავრობას, ცხადია, არ უფიქრია გამოეძახა თუნდაც, სასწრაფო დახმარება „ძაღლებისთვის“. საკმაოდ დაინახეს დროგები, რომლებზედაც დაჰყარეს 13 გვამი. დაჭრილი აღმოჩნდა 33 კაცი. სასაკლაოს ადგილზე დაბრუნების შემდეგ, სადაც იდგა სისხლის გუბეები და ეყარა ადამიანის ხორცის ნაფლეთები, მე გავიგე, რომ ავაკიანმა შეაჩერა ბაღიდან გამოსვლის დროს ამხ. კოტე ცინცაძე და ნაზარეტიანი და უბრძანა გაყოლოდენ მას ბაღის ბნელ ბილიკებისაკენ მათი დახოცვის განზრახვით, მაგრამ ესერმა მერხალევმა გადაარჩინა ისინი.

„გეგეჭკორი-ხანხოისკის“ ბლოკის ნაგაზები მთელი დღე ეძებდნენ ქალაქში ბოლშევიკებს ჯავრის საყრელად; ერთი ინჟინერი, რომელიც ამხ. შაუმიანი ეგონათ, კინაღამ მოკლეს ტრამვაიდან ჩამოსვლის დროს.

რამოდენიმე საათის შემდეგ გამოვიდა სიცრუით და ფარისევლობით სავსე მთავრობის ცნობა „სამწუხარო ამბების“ შესახებ. საღამოს გეგეჭკორს გამოუცხადეს ნდობა და მოიწონეს მის მიერ მიღებული ენერგიული ზომები.

დახვრეტილების დასაფლავების უფლებას არ იძლეოდნენ. მილიციამ საიდუმლოდ დამარხა მათი გვამები და აქამდისაც არ ვიცით სად იმყოფება მენშევიკური ტერორის პირველი მსხვერპლების ძმათა სასაფლაო.

ამის შემდეგ ამხ. შაუმიანის ბინაზე შეიკრიბა საოლქო კომიტეტი. იქ დადგენილ იქნა საბჭოთა წესწყობილებისათვის ბრძოლის ბაზა გადატანილიყო პროლეტარულ ბაქოში. რამდენიმე დღის შემდეგ ამხ. კუზნეცოვი და შაუმიანი გადავიდნენ ბაქოში. მარტში ბაქოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ სექტემბერში ის ხელახლა მოექცა იმპერიალიზმის ქუსლს ქვეშ. ამხ. სტეფანე ბაქოს დანარჩენ კომუნარებთან ერთად დაიღუპა კასპიის ველებში... ბევრი სისხლი დაიღვარა გმირულ ბრძოლაში ამიერ კავკასიაში მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დამყარებისათვის, დიდ ხანს მძვინვარებდა კონტრ რევოლიუციის ქარიშხალი აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაერთებელ კორიდორში. მაგრამ ბებერმა ისტორიამ მტკიცედ გადაწყვიტა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება! გადასწყვიტა და აასრულა! ეხლა აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო საბჭოთა ხელისუფლების მფარველობის ქვეშ ირჩენს იმ ჭრილობებს, რომლებიც მიაყენა მშრომელ კლასებს და ხალხებს მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების რეჟიმმა. იქ სადაც მეფობდა სისხლის მღვრელი ომები—იქ უკვე დამყარებულია მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობა, იქ ფრიალებს საბჭოთა ფედერაციის დროშა. სადაც სდევნიდენ, ხვრეტდენ და ციხეებში ალპობდენ რევოლიუციონერ მუშებს და გლეხებს, იქ ეხლა მტკიცედ სდგას მუშურ-გლეხური ხელისუფლება. ოქტომბრის რევოლიუციის გამაცხოველებელმა ნაკადმა საფუძვლიანად გასწმინდა ამიერ-კავკასია იმპერიალიზმის დამქაშებისაგან. ჯერი მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციაზეა.

⁂

ალექსანდრეს ბაღში მენშევიკების მიერ მოწყობილ საფლავების ადგილას ამ ჟამად იმყოფება ძმათა სასაფლაო წითელი გმირებისა, რომლების ძვლებიც მშრომელთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში უწინ დაღუპულთა ძვლებთან ერთად საძირკვლად დაედო საბჭოთა ციხე-სიმაგრეს.

საუკუნო ხსოვნა დაღუპულებს! დიდება ცოცხალ მებრძოლებს და შრომის სამეფოს მშენებლებს!

მ. ო.

რი სხვა თვალსაზრისითაც. იმისთვის, რომ თეორიული მსჯელობას შეეძლოს რეალური განხორციელების ნიადაგზე გადასვლა, საფრანგეთის მმართველ წრეებმა უნდა უარყონ საბჭოთა რუსეთზე უკანასკნელი ცრუ წარმოდგენა და უნდა მიხვდენ, რომ საბჭოთა მთავრობა ნამდვილად იცავს რუსეთის ხალხის ინტერესებს, მაშასადამე, ანგარიშს უწევს მის კანონიერ მოთხოვნილებებს, რისგანაც მას არ შეუძლია უკან დახევა, და დარღვევა იმ ინტერესების, რომლის დაცვის რწმუნება მას აქვს.

ქრონიკა

◆ **მცხოვრებლების აღწერა.** ახლო დღეებში მოწვეულ იქნება საბჭო სახელმწიფო სტატისტიკის საქმეთა შესახებ. საბჭო, რომელშიაც მონაწილეობენ ყველა უწყებანის წარმომადგენლები, საბოლოოდ გადახედავს საღრიცხვო ფორმულიარებს (ბარათებს) რესპუბლიკის ქალაქების მომავალ აღწერისა, რის შემდეგ შეუდგებიან ამ ფორმულიარების დაბეჭდვას. აღწერა დაიწყება მარტის შუა რიცხვებში.

◆ **საბინაო საკითხი.** ქ. თბილისის განტვირთვის ცენტრალურ საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარემ, ა. გ. სიდამონიშვილმა შეიმუშავა პროექტი დასახელებულ კომისიის და საგანგებო საფილტრაციო სამეულის გაერთიანებაზე, რომლის სახელი უნდა იყოს: „საგანგებო საუწყებათაშორისო კომისია გადასახლების და ფილტრაციისა“. ეს კომისია უნდა შესდგეს 7 კაცისაგან. ორი წარმომადგენელი თბილისის ქალაქის აღმას კომიდან (თავმჯდომარე—მმართველობის განყოფილების გამგე და თავმჯდომარის მოადგილე) და თითო წარმომადგენელი კომპარტიის თ. კ, ს. პ. კ. ს. საქართველოს საგან. კომ., შრომის სახალხო კომისარ. და მუშა და გლეხთა ინსპექციიდან.

— შინაგან საქმეთა სახ. კომისარ. კოლლეგიამ დაადგინა: გადაეცეს ცენტრალური საუწყებათაშორისო კომისია თბილისის მცხოვრებლების განტვირთვისა და საგანგებო საფილტრაციო სამეული შინაგ. საქ. სახ. კომისარიატის გამგებლობიდან თბილისის ქალაქის აღმასკომის გამგებლობაში. გადაცემა ყველა სამუშაოს და საქმეების ორთავე კომისიისა მოხდება 5 დღის განმავლობაში, საქართველოს რევკომის მიერ ამ დადგენილების დადასტურების შემდეგ.

◆ **წყალსადენი.** ავჭალის სადგურზე ქალაქის წყალსადენისა, ახალი ქვაბის მოწყობის გამო, მოხერხდა № 1 ქვაბის კაპიტალური რემონტის დაწყება; № 2 ქვაბის რემონტი დამთავრდება ამ დღეებში. ახალი ქვაბის ასეთი მოწყობით აცილებულია ქვაბების კრიზისი და სადგურზე მანქანების გაჩერება. დაწყებულია რემონტი ორთქლის ტურბინისა სადგურზე საკუთარი საშუალებებით, რის შედეგიც იქნება მაზუთის ხარჯის შემცირება თვით ტურბინის შეჩერების შესაძლებლობის აცილება.

◆ **საბურთალოს გაშრობა.** თბილისის ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების მიერ ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებასთან ერთად მიღებულია ზომები საბურთალოს ჭაობების გასაშრობად. განზრახულია გაღრმავება და რემონტი ძველი თხრილის და მისი გაგრძელება 3 ვერსის სიგრძემდი.

◆ **ახალი ქუჩა.** დაწყებულია მუშაობა მადათოვის კუნძულზე ნიკოლოზის ხიდიდან მუხრანისაკენ, მტკვრის მთავარი კალაპოტის პარალელურად ქუჩის გასაყვანად. განზრახულია ქუჩას უწოდენ „ქუჩა 26“, ბაქოს დახვრეტილ კომუნარების სახსოვრად. მადათოვის კუნძულზე გასწორებულია ყველა დანგრეული ადგილები.

◆ **„ჯანმრთელობის სახალხო კომისარ. უწყება“.** მარტის დასაწყისში დაიბეჭდება რუსულ და ქართულ ენებზე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანო: „ჯანმრთელობის სახალ. კომისარ. უწყება“, რომელშიაც ოფიციალურ ნაწილს გარდა, იქნება სამეცნიერო დარგი, ქრონიკა და პროფესიონალურ ცხოვრების განყოფილება.

◆ **აფთიაქები.** სააფთიაქო საქმე გადადის სამეურნეო საფუძველზე, იმ პირობით, რომ შემოსავალი დაფარავს აფთიაქების შესანახ ხარჯებს, ამსთანავე აფთიაქები გადაეცემა ადგილობრივ ორგანიზაციებს კუთვნილებისამებრ.

◆ **ყავილების აცრა.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ ბაქტეროლოგიურ ლაბორატორიამ გაუშვა ჯანკომის ხარჯზე 200,000 დოზაზე მეტი ყვავილის ლიმფა.

◆ **მკბენართან ბრძოლის კვირა.** ყველა სამზადისი მუშაობა „მკბენართან ბრძოლის კვირის“ ჩასატარებლად, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ-ეპიდემიურ განყოფილებამ უკვე დაამთავრა: მწერის გამანადგურებელი დამზადებულია სრულიად საკმარისად, სადეზინფექციო აპარატები „გელიოს“ მზათაა და სხვ., ამ დღეებში შეუდგებიან კვირის ჩატარებას.

◆ **ყვავილის და ტიფის ეპიდემია.** სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ განყოფილების ცნობით, ტიფისა და ყვავილის ეპიდემიის მსვლელობა რესპუბლიკაში 30 იანვრიდან 15 თებერვლამდი შემდეგი იყო: თბილისში ავათ გახდა: პარტახტიან ტიფით—292, ყვავილით—36 (ქალაქის საავადმყოფოებშია მიყვანილი) და რკინის გზის საავადმყოფოშია მიყვანილი 16 პარტახტიან ტიფით, 6 მუცლის ტიფით და 5 შებრუნებითი ტიფით ქუთაისში: 23 პარტახტიან ტიფით და 5 მუცლის; ახალციხეში: 2 პარტახტიანი ტიფით—8 მუცლისა და 19 შებრუნებითი; თელავში 22 პარტახტიანი ტიფით; გორის მაზრაში: 19 პარტახტიანი ტიფით; 5 მუცლის; და 10 შებრუნებითი; სიღნაღის მაზრაში: 30 პარტახტიანი ტიფით და 10 მუცლის; ოზურგეთის მაზრაში: 8 პარტახტიანი ტიფით; თოთში—13 პარტახტიანი ტიფით და 3 შებრუნებითი; სენაკის მაზ: 15 პარტახტიანი ტიფით და ბათუმში (1 იანვრიდან—21 იანვრამდა) 14 პარტახტიანი ტიფით, 8 მუცლის, 30 შებრუნებითი და 8 ყვავილით.

◆ **ბიტონების შეკვეთა.** გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა დასდო ხელშეკრულება „მარსის“ ქარხნის მოიჯარადრეებთან ბათუმში, 109.500 ნავთის ბიტონის დამზადებაზე. ბიტონები ერთი ფუთის დამტევი დამზადებული უნდა იქნენ მაღალ ხარისხიან ინგლისურ ქესტისგან.

პარტიული ცხოვრება

აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების მოქმედება.

(იანვარში).

მიუხედავად იმ ობიექტიურ პირობებისა, რომლებშიაც იყო ჩაყენებული განყოფილების მუშაობა (მუშაკების უყოლობა, ქალაქის მუშების მცირე პოლიტიკური აქტივობა და სხ.), მან მაინც დიდი სამუშაო შეასრულა. ქვემოდ მოყვანილი ციფრები გვეუბნებიან კრებების და მიტინგების რაოდენობაზე წარმოებებში, რომელი რაოდენობაც თითქმის არ ჩამოუვარდება დეკემბრისას.

აგიტაციის სფეროში.

თვე დაიწყო უპარტიო მუშების ფართე კონფერენციით; მუშათა ამ კრებაზე წარმოებებში კონფერენციისათვის არჩევნების დროს იკითხებოდა მოხსენებები პოლიტიკურ თემებზე, უმთავრესად „წითელ არმიელის დოვლათის კვირეულის“ გატარების საკითხის შესახებ. ეს კამპანია ატარებდა უმთავრესად და თითქმის მხოლოდ აღმზრდელობითი პრაქტიკულ ხასიათს: წითელ არმიელის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, მაგალითით და სიტყვით დამტკიცება მისთვის თავის დოვლათისადმი დაზოგვით მოპყრობის აუცილებლობისა. რამდენადაც საქმე ამ გვარად იყო, უფრო მეტი აქტივობა „კვირეულის“ გატარებაში უნდა გამოეჩინათ პროფკავშირებს, ხოლო პარტია აწარმოებდა კამპანიის საგიტაციო ნაწილს, ვინაიდან მის განკარგულებაში არ არის უბრალოდ არც წარმოება, არც მუშა ხელი. მთელი ეს წინასწარი საგიტაციო მუშაობა წარმოებდა იმ მიზნით, რათა მუშებს შეეგნოთ პროფკავშირების წინადადება სამუშაო ხელფასის, დამატებითი მუშაობის და სხვა ასეთების გადარიცხვის შესახებ. პარტიამ ეს სამუშაო შეასრულა.

ფართე კონფერენციებისათვის არჩევნების და „წითელ არმიელის დოვლათის კვირეულის“ კამპანიების გარდა, განყოფილება ფართედ აყენებთა მუშათა უპარტიო კრებებზე წარმოებებში განსაკუთრებით მტკივან საკითხს ახალი სატარიფო სისტემის, მუშათა დაზღვევის სისტემის შესახებ, აგრეთვე მოისმინეს მოხსენება საბჭოთა მე-9 ყრილობის შესახებ.

რაიონებში.

თუ რაიონებში მუშაობას დავაკვირდებით, უწინდებურად მე-3 რაიონში მუშათა კრებებზე ისმებიან უფრო მნიშვნელოვანი საკითხები საწარმოო-სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრებიდან მე 3 რაიონში საანგარიშო პერიოდში იყო სულ 80 კრება 12.615 დამსწრეთა საერთო რაოდენობით.

ისმენდნენ და იხილავდნენ მოხსენებებს შემდეგ თემაზე: „წითელ არმიელის დოვლათის კვირეული“—8 კრება, „სატარიფო პოლიტიკა“—2 კრება, „ფინანსიური პოლიტიკა“—4 კრება, „შტატების შემცირება და უმუშევრობა“—6 კრება, „წარმოების მდგომარეობა ამა თუ იმ წარმოებებში“—14 კრება, „არტელის მოწყობაზე“—4 კრება, „საბჭოთა ფედერაციის მიწვევა გენუას კონფერენციაზე“—11 კრება, „მუშათა ფართე კონფერენციები“—7 კრება.

პროფკავშირების ყრილობისათვის არჩევნების გამო პარტიის რაიკომმა ჩაატარა 24 კრება წარმოებებში.

პირველ რაიონში იყო 19 კრება და 5564 მუშას გაეწია სამსახური, გარდა ფართო სარაიონო კონფერენციისათვის არჩევნებისა, ისმენდნენ მოხსენებებს საბჭოთა მე 9 ყრილობის და ახალი სატარიფო პოლიტიკის შესახებ.

მეორე რაიონში შესდგა 55 კრება 17,645 დამსწრეთი, გარდა ზოგადპოლიტიკურ საკითხების და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ცალკე საკითხებისა, ჩატარდა არჩევნები სრულიად საქართველოს მეთამბაქოეთა ყრილობისათვის და მუშათა რაიონულ კონფერენციისათვის.

მეოთხე რაიონში პარტიის კომიტეტს თითქმის არ გაუკეთებია მუშათა კრებებზე მოხსენებები იმ საკითხების შესახებ, რომელნიც სცდილობდნენ ვიწრო ადგილობრივ ხასიათის ფარგლებს: აქ უფრო მეტი კრებები მოეწყო ცალკე კომისარიატები და რაიკომი არც ცდილა სისტემატიურად გაემართა მუშათა კრებები.

კრებების უმრავლესობა იმართებოდა რაიკომების ძალებით, გარდა კრებებისა მსხვილ წარმოებებში (ტრამვაი, არსენალი, სადგური ნავთლუღი, სასაკლაო, მთავარი სახელოსნოები და სხ.), სადაც მომხსენებლებს რაიკომების მოთხოვნით გზავნიდა აგიტ განყოფილება.

პროპაგანდის სფეროში.

დაგზავნილ იქნა რაიონებში თეზისები სატარიფო და ფინანსიურ საკითხებზე, თუმცა ცოტა დაგვიანებით გადამუშავებულია მეცადინეობის პროგრამა რაიონული პარტიულ სკოლებში და გამომუშავებულია დებულება მათ შესახებ. შედგენილია ინსტრუქცია რაიკომებისათვის.

ძირითად საპროპაგანდო მუშაობას შეადგენს მუშაობა რაიონულ სკოლებში, რომელთაგან სამის გახსნა მოვახერხეთ იანვრის პირველ რიცხვებში: მე-5 რაიონში (მუსულმანურ ენაზე), მე-2 და მე-4 რაიონებში, ამ ჟამად ქალაქში მოქმედებს ხუთი სკოლა, ყოველდღიურად, საღამოობით, სისტემატიურად გამომუშავებულ პროგრამის მიხედვით. თვის განმავლობაში გავლილია შემდეგი კურსები; მსოფლიოს წარმოება—9 საათი, სამეურნეო ყოფა ცხოვრების ისტორია—24 საათი და საბჭოთა კონსტიტუცია—6 საათი.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში საკმაოა ლექტორები უპარტიო ამხანაგებ შორის, განყოფილებას დიდი სიძნელით უხდება მათი შერჩევა, პარტიულ სკოლებში მუშაობის დამოკიდებულება გადასაყვან საშუალებებზე, ავტომობილებზე, ამ მუშაობას აყენებს ფრიად მძიმე პირობებში. კურსანტების მობილიზაცია სკოლებში რაიკომების მიერ შესრულებულია ცუდად, რის გამო მივიღეთ აჭრელებული შემადგენლობა, არ სჭარბობენ ს. კ. ა. პ. წევრები; კურსანტების მცირე ცოდნაც აგრეთვე აძნელებს ლექტორების მუშაობას.

წინედ კურსანტებს ეძლეოდათ ჩაი პურით, ახლა დიდი ეკონომიის აუცილებლობის გამო, ისინი ამას მოკლებულნი არიან და მეცადინეობენ სკოლებში პირდაპირ სამუშაოდან მოსულნი, დაღლილნი და მშიერნი. ახლად გადამუშავებულ, შემოკლებულ პროგრამის მიხედვით, მეცადინეობა სკოლებში განზრახულია 1 ნახ.—2 თვით და დათავდება მარტში.

უნდა ვიფიქროთ, რომ ახლა საპროპაგანდო მეცადინეობა იაჩეიკებში მოგვიხდა ცოტად თუ ბევრად, შეიძლება გავაუქმოთ რაიონული სკოლები ამ გამოშვების გათავების შემდეგ და მოვაწყოთ საერთო საქალაქო სკოლა თბილისის კომიტეტთან.

მთელი საანგარიშო დროის განმავლობაში განყოფილებაში გაიმართა ორი სხდომა საიონების მდივნებსა და ორგანიზატორებთან ერთად, რომლებზედაც განხილულ იქნა განყოფილების შემდგომი მუშაობის გეგმა და საგიტაციო—საპროპაგანდო მუშაობა რაიონებში.

მუშაკების მიჩენის დროიდან და იაჩეიკებზე, საპროპაგანდო მუშაობა მათში თუმც მოიკოჭლებს, მაინც რამოდენიმედ გამოსწორდა და მეცადინეობა წარმოებს საერთოდ საქართველოს კ. პ. თბ კ. აგიტაცია—პროპაგანდის განყოფილების მიერ დასახულ პროგრამის მიხედვით.

თავი რო მოუყაროთ განყოფილების მთელ ნამუშევარს, უნდა აღინიშნოს, რომ ის არა საკმაოდ ხელმძღვანელობდა რაიონების მუშაობას და ზოგიერთ შემთხვევაში აგვიანებდა საინსტრუკტორო მასალის მიწოდებას, მუშაკების უყოლობის მიზეზით განყოფილებაში, შეუძლებელი იყო რამოდენიმედ მაინც მოგვეწყო ლიტკოლეგიების მუშაობა, რის გამო პარტიული და მუშაკთა ცხოვრება შუქდებოდა ჩვენს პრესაში მხოლოდ რეზოლიუციები და ანგარიშებით.

წარმოებათა პროფკავშირებში

კავშირების გადასინჯვა და გაწმენდა.

(ს. პ. კ. ს. საორგ.-საინსტრ. განყოფილების ცირკულიარი)

ს. პ. ს. გ. საორგ.-საინსტრ. განყოფილებამ კავშირების ყველა ცენტრ. გამგეობათ დაუგზავნა შემდეგი ცირკულიარული წერილი:

,,პატივცემულო ამხანაგებო, თანახმად სრულიად საქართველოს პროფკავშირთა პირველ ყრილობის დადგენილებისა კავშირთა გადასინჯვისა და წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან: შინა მრეწველობის (კუსტარებისა), არტელების და კომუნების წევრების და სხვა ამათ მსგავსთაგან გაწმენდის შესახებ, ს. პ. კ. ს. საინსტრუქტორო-საორგ. განყოფილება წინადადებას გაძლევთ შეუდგეთ და ორი კვირის ვადაში გადასინჯოთ კავშირების და აგრეთვე არტელების და კომუნების ყველა წევრთა სიები, რისთვისაც ცენტრალურ გამგეობებიდან უნდა გამოეყოს სპეციალური კომისიები.

კომისიას დაეკისრება მოვალეობა: ფართე განცხადება ყველა წევრთა დაწყებულ რეგისტრაციის შესახებ, მიღება ყველა მასალისა გადასინჯვის შესახებ, განხილვა კავშირის ყოველი წევრის ანკეტისა, გამორიცხვა ყველა შინა-მრეწველისა (კუსტარისა) და ქვემოხსენებულ კატეგორიების არტელების ყველა წვრებისა და დამყარება კავშირრა წევრების ზედმიწევნით აღრიცხვისა.

კავშირებიდან გამორიცხვის დროს, კომისიები ხელმძღვანელობენ შემდეგი დებულებით:

1. გამორიცხულ უნდა იქნან შინამრეწველნი (კუსტარები —მარტოხელნი: ა) წარმოების საშუალების მქონენი (სახელოსნო და სხვა), ბ ვინც სარგებლობს დაქირავებულ შრომით, გ, ვისზედაც შეუძლებელია კავშირის ტარიფის და კონტროლის გავრცელება.

2. არტელები და კომუნები: ა) რომლებიც სარგებლობენ დაქირავებულ შრომით, ბ) რომლებიც არა მუშაობენ პროფკავშირთა ტარიფებით.

3. კერძო წარმოებათა უმაღლესი ადმინისტრატიული პერსონალი.

აღნიშნულ პირთა კატეგორიები დაუყონებლივ უნდა გამორიცხულ იქნან კავშირებიდან და მათ უნდა ჩამოერთვას საწევრო წიგნაკები. ამ მიზნით პროფკავშირებმა ფართეთ უნდა აცნობონ თავის წევრებს, რომ თავის დროზე გამოცხადდნენ სარეგისტრაციო და საწევრო წიგნაკები წარმოადგინონ. საბჭოთა დაწესებულებებსაც აგრეთვე უნდა ეცნობოს, რომ ამა თუ იმ პრივილეგიების მიცემის დროს მათ ყურადღება მიაქციონ შესაფერ შენიშვნებს წიგნაკებზე.

ამას იქით შინამრეწველების ან არტელების წევრად მიღების დროს პროფკავშირებმა დაწვრილებით უნდა გაიცნონ მათი მუშაობის ხასიათი და მიზნები, დიდის სიფრთხილით მიიღონ ისინი და უთუოდ სასტიკი კონტროლი დაუწესონ მათ მოქმედებას.

ს. პ. კ. ს. მდივანი **ოდილავაძე.**

ს. პ. კ. ს. საორგან.-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის მოადგილე—**მხითაროვი.**

მელითონეთა შორის.

1 იანვრისთვის ე. წ. კავშირის წარმოებებში ირიცხებოდა 84 წევრი ქარხნის კომიტეტისა. ამ რიცხვიდან კომუნისტი იყო 43, უპარტიო 41.

საკლუბო განყოფილების მუშაობა.

იანვრის განმავლობაში საკლუბო განყოფილებამ 2 სკოლა გახსნა წერა-კითხვის უცოდინართათვის ავტოსახელოსნოსთან 17 კაცისთვის და ვერის რაიონში 26 კაცისთვის. სტატისტიკის ცნობით, სულ კავშირში არის 120 მდე წერა კითხვის უცოდინარი წევრი. ამ ჟამად, 2 ზემოხსენებული სკოლის გარდა, მოქმედებს კიდევ ოთხი სკოლა, რომლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობა უდრის სამოც კაცს. ყველა სკოლების შენახვა იკისრეს სამეურნეო ორგანოებმა—ლითონის და ცენტრალურ სატრანსპორტო განყოფილებამ. ფაბრიკა-ქარხნების მოწაფეებისთვის სკოლის გახსნას აბრკოლებს მატერიალურ საშუალების უქონლობა. სკოლაში მეცადინეობის გეგმას, პროგრამას და თითონ სკოლის დებულებას ადგენს საკლუბო განყოფილება პროფესიონალურ განათლების მთავარ მმართველობასთან ერთათ.

მუშაობა ახალგაზრდობის შორის

რაც შეეხება მუშაობას ახალგაზრდობაში, ბიურო, გამოყოფილი მელითონეთა—კომუნ. ახალგაზრდობის კავშირის წევრთა მიერ, ენერგიულათ მოქმედებს, რაც გამოიხატა ახალგაზრდა მუშების ინტერესების დაცვაში შტატების შემოკლების დროს და ახალგაზრდა მუშების შრომის წესიერ ორგანიზაციაზე ზრუნვას და მის დაცვაში. ბიურო მონაწილეობას იღებს ქარხნის მოწაფეების სკოლის ორგანიზაციაში და იმ პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობაში, რომელიც დასახული აქვს საკლუბო განყოფილებას. ახალგაზრდობაში მუშაობისათვის ფონდის შესაქმნელათ ბიურო კავშირთა ერთათ მახლობელ დღეებში ჩაატარებს „ახალგაზრდა მელითონის დღეს“.

სასადილოები

კავშირის საორგანიზაციო-სანორმო სატარიფო განყოფილებამ ზომები მიიღო კოოპერატიული სასადილოს მოსაწყობათ ვაგზლის რაიონში, ჯერჯერობით კი კავშირმა შეთანხმება შეკრა კერძო სასადილოს პატრონთან რომლის თანახმათ იგი 300 მელითონეს აძლევს სადილს ორ თავ საჭმელს რომელთაგან ერთი აუცილებლათ ხორცით უნდა იყოს, 5,500 მანეთათ.

რევ. კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირი

კავშირის საორგანო სანორმო-სატარიფო საწარმოვო განყოფილებამ ყურადღება მიაქცია კომუნალურ წარმოებების გამოკვლევას იმ ანკეტით რომელიც შეადგინა [illegible] განყოფილებათა [illegible] წარმოებელთა გამგეების კრებაზე გამოირკვა, რომ მუშაობა ამ მიმართულებით წარმოებს და გამოკვლევის მასალები უნდა წარმოედგინათ 15 თებერვლისათვის.

ნორმების ორგანიზაციის სფეროში სამუშაოთ საორგ.-სანორმო-სატარიფო საწარმოვო განყოფილებამ ახლობელ თვისთვის დანიშნა შემდეგი საქმეები: სამისამართო მაგიდის რეორგანიზაცია, წარმოებათა და მათში მომუშავეთა რაოდენობის აღრიცხვის ფორმის გამომუშავება, გატარება ცხოვრებაში იმისი, რომ წარმოებებმა თვე და თვე წარმოადგინონ ანგარიშები თავიანთი საექსპლოტაციო მუშაობის შესახებ და ადგილებზე ფაქტიურ კონტროლის ჩატარება სატარიფო სანორმო განყოფილების ბიუროს მუშაობისა შტატების მოწესრიგების სფეროში.

შრომის და ნორმისა და კვალიფიკაციის სფეროში განყოფილებამ ჩაატარა იანვარში ნარდ მუშების შეფასება ტრამვაის სახელოსნოებში. ამ ჟამად ნარდი მუშაობა ჩატარებულია ტრამვაის 164 ხელოსნისთვის.

მუშაობა კვალიფიკაციის სავსებით გამოიხატა 2492 მუშისა და მოსამსახურისათვის ტარიფების დანიშვნაში.

ამ ჟამად სახელმწიფო მომარაგებაში რჩებიან: წყალსადენი, ცეცხლის მქრობელი რაზმი, ამშენებელ-სანიტარულ-ტეხნიკურ განყოფილება, ბაღები და სანერგე, ქალაქის აღმასკომი სამისამართო მაგიდა, ხოლო სამეურნეო საფუძველზე არიან: ტამვაი, ელექტრონის სადგურის სამმართველო, აბანოები და საბჭოთა სახლების სამმართველო.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 97.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

რადგანაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამშობლოში მიმავალ ლტოლვილთა მასსიური მოძრაობაა და აუცილებელია სრულიად სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღება მათი ევაკუაციისა და აგრეთვე სასურსათო და სანიტარული დახმარებისათვის, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადასტურებს და მოაგონებს საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ ხელისუფლების ყველა ორგანოს, რომ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 26 №-ის დადგენილების თანახმად, საქართველოს ცენტრალური საევაკუაციო სამმართველო დაარსებულია ყველა იმ დაწესებულებათა და ორგახიზაციების მოქმედების შეთანხმებისა, გაერთიანებისა და ხელმძღვანელობისათვის, რომელნიც განაგებენ სამხედრო ტყვეებისა, სამოქალაქო ტყვეებისა და ლტოლვილთა საქმეს; ამასთანავე აღნიშნულ დაწესებულებათა და ორგანიზაციებს ეძლევა განსაკუთრებული რწმუნებულება ყველა იმ საკითხების საერთო ხელმძღვანელობისათვის, რომელიც შეიძლება აღიძრას ჩამოთვლილ კატეგორიათა პირების მიმართ.

ამისათვის ცენტრალური საევაკუაციო სამმართველოს ყოველგვარი განკარგულება თუ გადაწყვეტილება, თანახმად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის ზოგადი სახელმძღვანელო ცნობებისა,—დაუყოვნებლივ შესრულებულ უნდა იქნეს,—როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედ ყველა დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მიერ,—ყოველგვარი ჩარევის გარეშე, ვისგანაც უნდა იყოს იგი.

სამხედრო უწყებას, რკინისგზასა, და ყველა საბჭოთა დაწესებულებას წინადადება ეძლევა აღმოაჩინოს ცენტრალურ საევაკუაციო სამმართველოს უაღრესად ფართო და ენერგიული დახმარება მცხოვრებთა ევაკუაციისათვის.

საქართ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკელია.**

სამხედრო და საზღვაო სახალხო
კომისარი **შ. ელიავა.**

რევოლიუციონური კომიტეტის
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 20.

ტფილისი—სასახლე.

დებულება.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოსა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კოლეგიის შესახებ.

1. „სახელმწიფო სტატისტიკის“ დებულების მე-4-ე მუხლის თანახმად ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან,—მისი მოქმედების საერთო ხელმძღვანელობისათვის,—მოეწყოს კოლეგია შემდეგი შედგენილობით: მმართველისა, მისი მოადგილისა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სტატისტიკური განყოფილების გამგეთაგან.

შენიშვნა: მმართველის მოადგილე იმავე დროს არის აგრეთვე ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ერთ-ერთ განყოფილების გამგე.

2. კოლეგიის მოქმედების ფარგლებში შედის:

ა) ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მოქმედებასთან დაკავშირებული საერთო საპროგრამო, საორგანიზაციო და საფინანსო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა.

ბ) განხილვა და დამტკიცება იმ საპროგრამო საორგანიზაციო საკითხებისა, რომლებსაც წარუდგენენ უწყებათა სტატისტიკური განყოფილებანი ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დასკვნისათვის.

გ) განხილვა და დამტკიცება საკითხებისა, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს სახელმწიფო სტატისტიკის საქმეთა საბჭოსა და სტატისტიკოსების კონფერენციებისა და ყრილობის მიერ.

დ) განხილვა მმართველის მოადგილისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განყოფილებების გამგეთა კანდიდატებისა და აგრეთვე ცენტრალური-სტატისტიკური სამმართველოს ქვე განყოფილებებისა და ადგილობრივი სტატისტიკური ბიუროების გამგეთა დამტკიცება.

4. კოლეგიის თავმჯდომარედ არის მმართველი, ხოლო მმართველის არ ყოფნის დროს—მისი მოადგილე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკელია.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წლ. თებერვლის 20.

ტფილისი—სასახლე.

სარედაქციო კოლეგია.

საქართველოს საბჭოთა ცენტრალური საარჩევნო კომისია

ამით აცხადებს იმ ინსტრუქტორების საყურადღებოდ, რომელნიც დაბრუნდნენ თბილისში, ხოლო ჯერაც არ გამოცხადებულან ცენტრალურ კომისიაში, რომ ისინი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ გამოეცხადონ ცენ. საარჩ. კომისიას, საქართველოს რევკომის სასახლეში ოთახი № 23 ტელეფონი № 11—69

ტირაჟი 10,000

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა. კრუზენშტერნის ქ., № 4.